პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУзии и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი | № 150 (10544) | პარასკევი, 29 ივნისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

დავნერგოთ ტექნიკური სიახლეები მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ზრუნავენ საბჭოთა ადამიანების — დიადი კომუნისტური საზოგადოების მშენებლების კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ამ ზრუნვის შედეგია ის, რომ მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიღწეულ იქნა უდიდესი წინსვლა, მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების ბაზაზე მკვეთრად გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება.

პარტიის XX ყრილობამ მეექვსე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების დიადი პროგრამა დასახა. 1960 წელს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება 1955 წლის დონესთან შედარებით 60 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ეს იმას ნიშნავს, რომ მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის ჩვენს ქვეყანაში საგრძნობლად გაიზრდება სახალხო დოვლათი, უფრო სრულად დაკმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილებანი.

საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში მოყვანილი ციფრები ნათლად გვიჩვენებენ ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ზრდას განვლილ ხუთწლედში. 1955 წელს 1950 წელთან შედარებით ბამბის ქსოვილების გამოშვება გაიზარდა 5-ჯერ, აბრეშუმის ქსოვილებისა — 2,4-ჯერ, შალის ქსოვილებისა — 64 პროცენტით, ფეხსაცმლისა — 10 პროცენტით, აბრეშუმის „კაპრონის“ წინდებისა — ერთიოროად და უფრო მეტად. კიდევ უფრო სწრაფი ტემპით წავა წინ სახალხო მოხმარების საგნების წარმოება მეექვსე ხუთწლედში.

პარტია გვასწავლის, რომ სამრეწველო წარმოების შემდგომი ზრდის გადამწყვეტი პირობაა მისი განუხრელი ტექნიკური პროგრესი. საჭიროა ყველა საწარმოში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გაბედულად და გეგმაზომიერად ვნერგავდეთ მეცნიერების, ტექნიკის უახლეს მიღწევებს, მოწინავე გამოცდილებას, ვაუმჯობესებდეთ შრომისა და წარმოების ორგანიზაციას, რათა უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების თანდათანობით ზრდა, საწარმოო დავალებების წარმატებით შესრულება.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში დაინერგა მრავალი ახალი მანქანა-დანადგარი, მაგრამ მარტო ტექნიკა, თუ მას უნარიანი, მცოდნე ადამიანები არ მართავენ, არ კმარა. საწარმოების ტექნიკურ შეიარაღებასთან ერთად საჭიროა მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც ამ ტექნიკას სრული სიმძლავრით, მაღალი ოსტატობით გამოიყენებენ, უზრუნველყოფენ პროდუქციის რაოდენობრივ ზრდას, მისი ხარისხის სრულყოფას. ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფა ნიშნავს მანქანა-მოწყობილობის მუდმივ გაუმჯობესებას, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციით და ავტომატიზაციით, ნედლეულისა და ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენებით მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების განუხრელ გადიდებას.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში კი ჯერ ისევ გვაქვს დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების შემთხვევები. რაც ტექნიკის სუსტად გამოყენების, მოწინავე გამოცდილების დანერგვის უგულებელყოფის შედეგია. მაგალითად, მრავალი საყვედური გაისმის ბათუმის ტყავგამომყვანი ქარხნის და ფეხსაცმლის ფაბრიკების მისამართით: ბათუმელი ტყავდამმუშავებლები ცუდად შეღებილ საზედაპირე ტყავს აწოდებენ ფეხსაცმლის ფაბრიკებს და მომხმარებლები მეფეხსაცმლეებს უჩივიან, რომ წვიმაში პირველი მოხვედრისთანავე ფეხსაცმლის ზედაპირი ფუჭდება, საღებავი გადადის.

უპასუხისმგებლობას იჩენენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში სარეწაო კოოპერაციის ზოგი არტელი და ცალკეული რაიონული სამრეწველო კომბინატები, რომლებიც არსებითად აფუჭებენ სახელმწიფოს მიერ მიცემულ ნედლეულს. ამიტომ არის, რომ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სამრეწველო საქონლის ხარისხის ინსპექციის რესპუბლიკური სამმართველო იძულებულია აკრძალოს ასეთ საწარმოთა ნაწარმის გასასაღებლად გამოტანა.

ამასთან რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში გვაქვს ამის მრავალი მაგალითი, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწიეს პროდუქციის როგორც რაოდენობრივი გამოშვების, ისე ხარისხის ამაღლების მხრივ პროგრესული ტექნიკისა და უახლესი ტექნოლოგიის დანერგვით, მოწინავე გამოცდილების გავრცელებით. ქუთაისის აბრეშუმკობინატში პირველი და მეორე საქსოვი საამქროები მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდნენ თავიანთი მაჩვენებლებს, თუმცა ახალი ტექნიკის დანერგვის მხრივ სასაყვედურო არაფერი ჰქონდათ. ახლა ეს საამქროები მოწინავენი არიან, გამართულად მუშაობენ. გარდატეხა მიღწეულ იქნა გამოჩენილი ნოვატორების დურდიევისა და ტაშპულატოვის მოწინავე გამოცდილების მასობრივად გავრცელების შედეგად, რამაც გამოიწვია ჩამორჩენილთა დაწინაურება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება.

თბილისის ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში ყველაზე ჩამორჩენილი მეხუთე საამქრო, რომელიც საბავშვო ფეხსაცმლის გამოშვებაზე მუშაობს, ახალი ტექნიკის დანერგვისა და უნარიანად გამოყენების შედეგად მოწინავე გახდა. ეს საამქრო ახლა რიტმულად მუშაობს, თანდათან ზრდის პროდუქციის გამოშვებას, ხოლო მის ნაწარმზე ფაბრიკაში რეკლამაციების მიღება მკვეთრად შემცირდა.

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვის მხრივ ყველაფერი უკვე გაკეთებულია, მაგრამ ეს კიდევ უფრო ცხადყოფს, რომ საჭიროა გავაძლიეროთ მუშაობა მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის, არსებული ტექნიკის სრულყოფილად გამოყენებისათვის. ტექნიკის გამოყენების კოეფიციენტი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებში ჯერ მეტად დაბალია. მაგალითად, სამკერვალო ფაბრიკებში მიღებული და უკვე კარგა ხნის წინათ ამუშავებული სპეციალური საკერავი მანქანების სიმძლავრე საშუალოდ 20 პროცენტით არის ათვისებული.

მოწინავე გამოცდილების მასობრივად გავრცელება, გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვა და შრომის რაციონალურად მოწყობა ტექნიკური პროგრესის დაჩქარების აუცილებელი წინაპირობაა. საჭიროა მუშაობის ამ უბნისაკენ წარმართონ ახლა მთავარი ყურადღება რესპუბლიკის მუსუბუქი მრეწველობის მუშაკებმა, უწინარეს ყოვლისა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და მისი მთავარი სამმართველოების ხელმძღვანელებმა, ცალკე საწარმოთა სამეურნეო მუშაკებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

პარტიის XX ყრილობამ მსუბუქი მრეწველობის მუშაკებს ამოცანად დაუსახა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მკვეთრი ზრდის მიღწევა. ამ ამოცანის განხორციელებისათვის საჭიროა უფრო თამამად დავნერგოთ წარმოებაში ტექნიკური სიახლეები, გაუმჯობესებული ტექნოლოგია და მოწინავე გამოცდილება.

ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და დედოფალი სორეია მოსკოვში

სამი დღეა საბჭოთა დედაქალაქში სტუმრად არიან მისი უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი, მისი უდიდებულესობა დედოფალი სორეია და მათი თანმხლები პირები.

27 ივნისს დღის მეორე ნახევარში შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი, მისი ამალის წევრები, აგრეთვე ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ა. მასუდ-ანსარი იყვნენ ტაძანის გვარდიის მექანიზებული დივიზიის ბანაკებში.

ირანის შაჰინშაჰს ახლდნენ საბჭოთა კავშირის მარშლები ი. ს. კონევი, კ. ს. მოსკალენკო, ვ. დ. სოკოლოვსკი, არმიის გენერალი ვ. ვ. კურასოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. შ. პეგოვი და სხვა ოფიციალური პირები.

მისი უდიდებულესობა დედოფალი სორეია ფეჰლევი 27 ივნისს დღისით იყო საკონდიტრო ფაბრიკა „კრასნი ოქტიაბრში“, სადაც მას შეხვდა ფაბრიკის დირექტორი ა. ა. გრინენკო.

დედოფალმა სორეიამ მოისურვა ფაბრიკის საამქროების დათვალიერება. მას უჩვენეს შოკოლადისა და კარამელის დამზადების პროცესები.

დღის მეორე ნახევარში დედოფალმა სორეიამ და მის თანმხლებ პირთა ჯგუფმა დაათვალიერეს ოსტანკინოს სასახლე-მუზეუმი.

27 ივნისს საღამოს ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი, დედოფალი სორეია და მათი თანმხლები პირები იყვნენ მოსკოვის ცირკში.

სტუმრებთან ერთად წარმოდგენას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი.

წარმოდგენის დაწყების წინ შესრულებულ იქნა ირანის და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის პურის პროდუქტების სამინისტრომ, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად შეიტანეს პროექტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა „პირუტყვის საკვებად პურისა და სხვა სასურსათო პროდუქტების სახელმწიფო ფონდებიდან ხარჯვის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

ქვემოთ ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების აღნიშნული პროექტი.

დადგენილების პროექტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ იმ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის, ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში გადიდდა პურის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და დამზადება. ამის მეოხებით ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში 1954 და 1955 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობისათვის სახელმწიფო და კოოპერაციული სავაჭრო ქსელის მეშვეობით ხორცისა და ხორცის პროდუქტების, რძის, ერბო-კარაქისა და მცენარეული ზეთის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ბოსტნეულის, შაქრისა და კვების სხვა პროდუქტების მიყიდვა.

მოსახლეობისათვის კვების ამ პროდუქტების მიყიდვის გადიდებას უნდა გამოეწვია პურის მოხმარებისა და მოსახლეობისათვის მიყიდვის შემცირება. ნამდვილად კი ასე რიდი გამოვიდა. 1952 წელთან შედარებით ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრებიდან მოსახლეობისათვის პურისა და პურის პროდუქტების მიყიდვა გადიდდა მნიშვნელოვნად უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის რიცხვი.

მოწყობილი შემოწმება, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მასალები ცხადყოფენ, რომ უკანასკნელ დროს მთელ რიგ ქალაქებში ფართო მასშტაბი მიიღო პირუტყვის კვებამ პურით, ბურღულით, კარტოფილით და სხვა საკვები პროდუქტებით, რომლებსაც სახელმწიფო მაღაზიებში ყიდულობენ. ამიტომ მოსახლეობისათვის პურის მიყიდვის დიდი ზრდა განპირობებულია არა იმდენად კვებისათვის პურის ხარჯვის გადიდებით, რამდენადაც პურის ხარჯვით პირუტყვის საკვებად, რომელიც ქალაქების, გარეუბნების, მუშათა დაბების, აგრეთვე იმ პირთა პირად საკუთრებაში იმყოფება, რომლებიც სოფელ ადგილებში ცხოვრობენ, მაგრამ არსად არ შუშაობენ, არამედ მისდევენ ეკრძო მეცხოველეობას იაფი პურით, რომელსაც სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში ყიდულობენ.

პირუტყვის საკვებად პურის, ბურღულისა და სხვა პროდუქტებია ხარჯვა იწვევს დეზორგანიზაციას მოსახლეობის მომარაგებაში და, მაშასადამე, არ შეესაბამება სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს. ეს ანტისოციალური საქმე ძირს უთხრის ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრებიდან მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებებს, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ. ამასთან დაკავშირებით მშრომელები მიმართავენ ადგილობრივ და ცენტრალურ საბჭოთა ორგანოებს თხოვნით მოლოდინ არ ანარქიალურ მოვლენას.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონმა, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო 1953 წლის აგვისტოში, აგრეთვე მთავრობის მთელმა რიგმა დადგენილებებმა გააუქმეს შეზღუდვანი მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი მეცხოველეობის განვითარებაში. გასულ წელიწადში ზარტა მუშებისა და მოსამსახურეების პირუტყვის სულადობა გადიდდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 1,1 მილიონი სულით, აქედან ძროხისა — 300 ათასით, ღორისა — 600 ათასით, ცხვრისა — 1,3 მილიონი სულით.

მუშებისა და მოსამსახურეების პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის სულადობის გადიდება თავისთავად დადებითი ფაქტია, მაგრამ ამან ორასასურველი მოვლენები გამოიწვია ჩვენი საზოგადოებისათვის. მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის სულადობის ზრდამ გამოიწვია სასურსათო პროდუქტებისა და განსაკუთრებით პურისა და ბურღულის ხარჯვის გადიდება პირუტყვის საკვებად. ამასთან ქალაქების, მუშათა დაბებისა და საგარეუბნო სოფელ ადგილების მოსახლეობის განსაზღვრული ნაწილი, მხედველობაში იღებს რა, რომ მეცხოველეობის პროდუქტების ფასები ბაზარში ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია, ამ გარემოებას იყენებს სპეკულაციის მიზნით. სპეკულანტური ელემენტები ქალაქების სახელმწიფო მაღაზიებში დაბალ სახელმწიფო ფასად ყიდულობენ პურს, ბურღულსა და სხვა პროდუქტებს პირუტყვის საკვებად, ხოლო მეცხოველეობის პროდუქტებს ბაზარში მაღალ ფასად ჰყიდიან. ეს სპეკულანტური ელემენტები აღარ ეწევიან ნაყოფიერ შრომას მრეწველობაში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ანდა ფორმალურად, მხოლოდ თვალის ასახვევად, ირიცხებიან იქ, ნამდვილად კი ეწევიან ინდივიდუალურ მეცხოველეობას როგორც ძირითად რეწვას.

სამწუხაროდ, არა მარტო სპეკულანტური ელემენტები, არამედ ზოგიერთი მუშა და მოსამსახურეც, რომლებსაც პირუტყვი ჰყავთ პირად საკუთრებაში, ნაცვლად იმისა, რომ იზრუნონ პირუტყვის საკვების დამზადებისათვის სახელმწიფო მიწის ფონდის დაუკავებელ მიწებზე, სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე და ამ მიზნისათვის დაწესებულ სხვა ადგილებში თივის მოთიბვით, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და თავიანთ ბოსტნებში მოსავლის აღებაში მონაწილეობით, პირუტყვის საკვებად იყენებს სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში ნაყიდ პურს, ბურღულსა და სხვა პროდუქტებს.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით, ქალაქების მცხოვრებნი, რომლებსაც პირუტყვი ჰყავთ პირად საკუთრებაში, არ იხდიან, როგორც წესი, ფულად გადასახადს, აგრეთვე არ არიან ჩაბმულნი მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებაში, რაც მათთვის ქმნის წამახალისებელ პირობებს მეცხოველეობის განვითარებისათვის კოლმეურნეებთან შედარებით, რომლებიც იბეგრებიან ნატურალური ჩაბარებით და სასოფლო-სამეურნეო გადასახადით.

სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში ნაყიდ პურსა და სხვა პროდუქტებს პირუტყვის საკვებად იყენებს აგრეთვე ზოგიერთი კოლმეურნე, რომლებიც საგარეუბნო სოფელ ადგილებში ცხოვრობენ.

ასეთი მდგომარეობა იწვევს პურისა და სხვა სასურსათო პროდუქტების არარაციონალურ ხარჯვას, არღვევს მშრომელთა ნორმალურ მომარაგებას.

პირუტყვის პურითა და სხვა პროდუქტებით კვება შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა, თუ უზრუნველყოფილ იქნებოდა ქალაქების, გარეუბნებისა და მუშათა დაბების მცხოვრებთა პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვისა და ფრინველისათვის ფურაჟის გაყიდვა საჭირო რაოდენობით და უფრო ხელსაყრელ ფასებში, ვიდრე პური, ბურღული და კარტოფილი იყიდება. მაგრამ ეს მოითხოვდა ფურაჟის დამატებით გამოყოფას დიდი რაოდენობით, ხოლო ფურაჟი, უწინარეს ყოვლისა, მარცვლეულია, და სახელმწიფო ამჟამად ვერ გამოჰყოფს ამ მიზნისათვის საჭირო რაოდენობით კონცენტრირებულ საკვებს.

პირუტყვისათვის პურის ხარჯვის წინააღმდეგ შეიძლებოდა ბრძოლა გვეწარმოებინა პურისა და ბურღულის ფასების იმ ფონდიდ გადიდებით, როცა ამ პროდუქტებით პირუტყვის კვება ხელსაყრელი არ იქნებოდა. მაგრამ ჩვენი სახელმწიფო ამას ვერ გააკეთებს, რადგან პურის ფასის გადიდება შელახავს მილიონობით ადამიანის ინტერესებს.

ქალაქებსა და გარეუბნებში პირუტყვის პურით კვება შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა, თუ მნიშვნელოვნად გავადიდებდით მოსახლეობისათვის ხორცის, რძისა და რძის პროდუქტების უფრო დაბალ ფასებში ფიყიდვას სახელმწიფო სავაჭრო ქსელის საშუალებით, ვიდრე პირუტყვის ინდივიდუალური მფლობელები ჰყიდიან, რათა მომხმარებელი ამ პროდუქტებისათვის ბაზარში კი არ მიდიოდეს, არამედ მაღაზიებში. ნაშინ პირუტყვის ინდივიდუალური მფლობელებისათვის ხელსაყრელი აღარ იქნებოდა პირუტყვის კვება სახელმწიფო მაღაზიებში ნაყიდი პურით.

ამ უკანასკნელ ხანს ძნიშნელოვნად გადიდდა რძისა და ნაწილობრივ ხორცის დამზადება და შესყიდვა, რითაც შესაძლებელი გახდა მეტი გაიყიდოს რძისა და ხორცის პროდუქტები ქალაქებში სახელმწიფო ვაჭრობის ხაზით. მაგრამ ქალაქის მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება რძეზე და განსაკუთრებით ხორცზე ჯერ კიდევ ვერ კმაყოფილდება მთლიანად დიდ სამრეწველო ცენტრებშიც კი, რადგან სახელმწიფოს ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არ მოეპოვება ეს პროდუქტები. ამის გამო მეცხოველეობის პროდუქტების საბაზრო ფასები, განსაკუთრებით ხორცისა, სახელმწიფო ფასებზე მეტია და პირუტყვის ინდივიდუალური მფლობელნი პირადი სარგებლობის მიზნით იყენებენ ამ კონიუნქტურას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია გადაისინჯოს კანონმდებლობა, რომელიც აქეზებს ქალაქის მოსახლეობის პირად საკუთრებაში მეცხოველეობის განვითარებას. როცა ქალაქის მოსახლეობა პრიმიტიულად ეწევა მეცხოველეობას და ბლომად იხარჯება პური და სხვა სასურსათო საქონელი, ეს მუშახელს აშორებს საზოგადოებაში ნაყოფიერ შრომას, იწვევს შრომის დიდ დანახარჯს პროდუქციის — ხორცის, რძის, კვერცხის ერთეულზე, რაკანის მოსახლეობის მერყეულ ნაწილს და წარმოშობს ჩვენი სოციალისტური წარმოების დეზორგანიზაციის ელემენტებს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თუ ახლა, სახელმწიფო ვაჭრობასა და ბაზარში მეცხოველეობის პროდუქტების ნაკლებობის პირობებში, პირუტყვის ზოგიერთ ინდივიდუალურ მფლობელს შეუძლია დიდი შემოსავალი მიიღოს, მაშინ, როცა ამ პროდუქტების რაოდენობა გადიდდება საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და უფრო იაფ ფასებში სახელმწიფო ვაჭრობის გაფართოების გზით, პირუტყვის ინდივიდუალურ მფლობელებს ეს პირობები არ ექნებათ, რადგან ერთი ძროხის, ღორის, ცხვრის მოვლა ხელსაყრელი არ არის.

ჩვენი კანონმდებლობის მიზანია განვითარდეს საზოგადოებრივი მეცხოველეობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებში ნაჩვენებია მეცხოველეობის განვითარების მთავარი გზები — მარცვლეულის მეურნეობის აღმავლობა და ფურაჟის წარმოების გადიდება, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარება, მეცხოველეობაში შრომის პროცესების მექანიზაცია და მეშინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების შემცირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მეცხოველეობის პროდუქტებზე მთელი მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მათი წარმოების გადიდების გზით. ეს გზა შეესაბამება ხალხის ინტერესებს, და მას ხელს უწყობს ჩვენი სახელმწიფო.

ამის მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია განახორციელოს ღონისძიებანი პირუტყვის საკვებად სახელმწიფო რესურსებიდან პურისა და სხვა სასურსათო პროდუქტების გამოყენების შეწყვეტისათვის და შეზღუდოს ქალაქის მოსახლეობის პირად საკუთრებაში არსებული მეცხოველეობის განვითარება პირუტყვის მფლობელებისათვის ფულადი გადასახადისა და რძისა და ხორცის საკვლევებულო ჩაბარების გზით. ეს, რა თქმა უნდა, ერთგვარად შეამცირებს მეცხოველეობის იმ პროდუქტების რაოდენობას, რომლებიც ბაზარში შემოდის ამ კატეგორიის მეურნეობებიდან, მაგრამ ეს შემცირება უთანხლოდ ხანში ანაზღაურდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო **ადგენს:**

1. აეკრძალოს ყველგან როგორც ქალაქად, ისე სოფელ ადგილებში, ვინც უნდა იყოს, პირუტყვისა და ფრინველის პურით, ფქვილით, ბურღულით, კარტოფილითა და სხვა სასურსათო პროდუქტებით კვება, რომლებიც ამ მიზნით შეძენილ იქნება სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში.

დაევალოს ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს ფართოდ განუმარტონ მოსახლეობას, რომ სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში ნაყიდი პურისა და სხვა სასურსათო პროდუქტების პირუტყვისა და ფრინველის საკვებად გამოყენებას დეზორგანიზაცია შეაქვს მშრომელთა მომარაგებაში, წარმოადგენს იმ ცალკეულ პირთა ერთ-ერთი სახეობის სპეკულანტურ საქმიანობას, რომლებსაც არა სურთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ შრომაში, და ანტისოციალურია საქმეა.

2. დაწესდეს, რომ სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში ნაყიდი პურით, ფქვილით, ბურღულით, კარტოფილითა და სხვა სასურსათო პროდუქტებით პირუტყვისა და ფრინველის კვებისათვის დამნაშაულებს გადახდებათ ჯარიმა, რომელსაც ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოების წარდგენით დააკისრებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, პირველად ხუთასი მანეთის ოდენობით, ხოლო განმეორებითს შემთხვევებში — ათასი მანეთის ოდენობით. ჯარიმის გადახდევინება მოხდება უდავო წესით მილიციის ორგანოების საშუალებით.

3. აღინიშნოს, რომ, რადგან ადგილობრივი საბჭოთა და სავაჭრო ორგანოები საკმაო კონტროლს არ ახორციელებენ, ირღვევა ერთი ხელში პურისა და სხვა პროდუქტების გაცემის დაწესებული ნორმები, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში ნაყიდი პურისა და სხვა პროდუქტების გამოყენებას პირუტყვის საკვებად.

დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, „ცენტროსოიუზს“ და ყველა სამინისტროს მუშათა მომარაგების მთავარ სამმართველოებს დააწესონ კონტროლი პურისა და სხვა პროდუქტების გაყიდვისადმი, ერთ ხელში მათი გაცემის ნორმების დაცვისადმი და პასუხისგებაში მისცენ ვაჭრობის დადგენილი წესის დარღვევენ.

განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სავაჭრო კომისიებმა, სამომხმარებლო კოოპერაციის სადუქნო კომისიებმა და სახელმწიფო სავაჭრო ინსპექციამ გააუმჯობესონ მუშაობა პურისა და პურის პროდუქტების ვაჭრობის მდგომარეობისადმი კონტროლის დარგში.

ეთხოვოს საკავშირო პროფსაბჭოს დაავალოს პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს, პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს გაუმჯობესონ მუშათა მასობრივი კონტროლი პურისა და სხვა პროდუქტების ვაჭრობის მდგომარეობისადმი და ერთ ხელში მათი გაცემის ნორმების დაცვისადმი.

4. დაწესდეს ფულადი გადასახადი და რძისა და ხორცის საკვლევებულო ჩაბარება პირუტყვის მფლობელი მოქალაქეებისათვის (გარდა კოლმეურნეებისა), რომლებიც ცხოვრობენ ქალაქებში: მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, საოლქო, სამხარეო ცენტრებსა და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრებში (გარდა შორეული ჩრდილოეთის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრებისა).

დაწესდეს გადასახადის შემდეგი განაკვეთები ერთ სულ პირუტყვზე წელიწადში (1 ივლისიდან 30 ივნისამდე): ძროხაზე — 500 მანეთი, ღორზე (ორი თვისაზე მეტი ხნისა) — 150 მანეთი, ცხვარზე ან თხაზე (წლისაზე მეტი ხნისა) — 40 მანეთი, მუშა ცხენზე — 1.500 მანეთი და სხვა მუშა პირუტყვზე — 750 მანეთი და საკვლევებულო ჩაბარების ნორმები: ერთ ძროხაზე — 400 ლიტრი რძე, ერთ ღორზე — 20 კილოგრამი ხორცი (ცოცხალი წონა) და ერთ ცხვარზე ან თხაზე — 5 კილოგრამი ხორცი (ცოცხალი წონა). თვითეულ სულ პირუტყვზე, რომელიც მეურნეობას ჰყავს, გარდა ერთი ძროხისა ან ერთი ღორის ან წლისაზე მეტი ხნის ორი ცხვრისა (თხისა), ფულადი გადასახადი და რძისა და ხორცის საკვლევებულო ჩაბარება წესდება ორმაგად. თუ პირუტყვის მფლობელ მოქალაქეთა ოჯახის შემადგენლობაში არიან შრომისუნარიანი წევრები, რომლებიც თავს არიდებენ სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობას (გარდა დიასახლისისა და მოსწავლეებისა), ფულადი გადასახადი და რძისა და ხორცის საკვლევებულო ჩაბარება დიდდება დაწესებული განაკვეთებისა და ნორმების 50 პროცენტით.

გადასახადისა და ხორცისა და რძის საკვლევებულო ჩაბარების გამოანგარიშება ხდება ამის მიხედვით, თუ რამდენი სული პირუტყვი იყო 1 ივლისისათვის.

ფულადი გადასახადის გადახდა ხდება თანაბარ წილად 1 სექტემბრისა და 1 მარტისათვის. რძისა და ხორცის ჩაბარება ხდება დაწესებულ ვადებში.

უფლება მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შემოიღონ ამ დადგენილებით დაწესებული ფულადი გადასახადი და რძისა და ხორცის საკვლევებულო ჩაბარება პირუტყვის მფლობელ მოქალაქეთათვის დიდ ქალაქებში, რომლებიც არ არიან რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ცენტრები, აგრეთვე გაათავისუფლონ ფულადი გადასახადისა და რძისა და ხორცის საკვლევებულო ჩაბარებისაგან ცალკეული პატარა ქალაქების მოსახლეობა, თუნდაც ეს ქალაქები იყოს ოლქების, მხარეების ან ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრები.

უფლება მიენიჭოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საწარმოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობით, გამონაკლისის წესით, გათავისუფლონ ფულადი გადასახადისაგან, აგრეთვე რძისა და ხორცის საკვლევებულო ჩაბარებისაგან ქალაქებში მცხოვრები ცალკეული მოქალაქენი, რომლებსაც პირად სარგებლობაში ჰყავთ პირუტყვი.

შეტანილ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში პროექტი ბრძანებულებისა ფულადი გადასახადის შემოღებისა და მისი გამოყენების წესის შესახებ.

5. ქალაქებში მცხოვრებ კოლმეურნეთა მეურნეობებს დაეკისროთ საკოლმეურნეო კომლისათვის დაწესებული ნორმებით რძისა და ხორცის საკვლევებულო ჩაბარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის ყველა შრომისუნარიან წევრს გამომუშავებული ექნება შრომადღეების დაწესებული მინიმუმი. თუ ამ ოჯახების ცალკეულ წევრებს საპატიო მიზეზის უქონლად არ გამოუმუშავებიათ შრომადღეების დაწესებული მინიმუმი, რძისა და ხორცის საკვლევებულო ჩაბარება გამოიანგარიშება ერთპიროვნული მეურნეობებისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით.

ხორცისა და რძის საკვლევებულო ჩაბარების გამოანგარიშება იმ ცალკეულ მეურნეობებისათვის, რომელთა ოჯახების ცალკეულ შრომისუნარიან წევრებს საპატიო მიზეზების უქონლად არ გამოუმუშავებიათ 1 ივნისისათვის შრომადღეების დაწესებული მინიმუმი, ხდება მეურნეობათა იმ სიებით, რომლებსაც ამტკიცებს კოლმეურნეთა საერთო კრება ან რწმუნებულთა კრება.

6. ნება დაერთოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სანიტარული მოსაზრებებით აუკრძალონ ქალაქის მოსახლეობას პირუტყვის ყოლა პირად საკუთრებაში.

7. დაევალოს სსრ კავშირის საბჭ

☆

გავაჩაღოთ კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება

300 ჰექტარი— ათ სამუშაო დღეში

კომბაინთა აგრეგატების მუშაკები დიდი ამოცანის წინაშე ვდგავართ. მალე პურეულის მკა მასობრივად გაჩაღდება. ჩვენთვის ახლა არ არის იმაზე უფრო საპატიო საქმე, ვიდრე მოსავლის უდანაკარგოდ აღება.

ჩვენ გავეცანით „კომუნისტში“ დაბეჭდილ კაჰეთის მტს-ის ოცდამეცხრე კომბაინის აგრეგატის (უფროსი ნ. ფრიდონაშვილი) კოლექტივის წერილს იმის შესახებ, რომ მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება პურეულის უმოკლეს ვადაში და უდანაკარგოდ აღებისათვის, თითეული კომბაინის მაღალი დღიური გამომუშავებისათვის.

ჩვენ ვიწონებთ ნ. ფრიდონაშვილის პატრიოტულ თაოსნობას, ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ წარმატებით მოვიბადოთ ჩვენი ვალი სამშობლოს წინაშე. გასული წლების გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება შეიძლება მკისათვის სრულყოფილად მომზადებით. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე გვაქვს. ჩვენი აგრეგატი მზად არის მუშაობის დასაწყებად. კომბაინზე მოწყობილია ელექტროგანათება ღამით მუშაობისათვის, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის სრული კომპლექტი გვაქვს. მკის დროს ბზე იკარგებოდა. წელს ასე აღარ იქნება. ნამჯის ტრანსპორტიორი დავაგრძელეთ და დაბლა დავწიეთ. გამოვცადეთ და დავრწმუნდით, რომ ახლა ბზეც გადავა ნამჯის შემგროველელში. ამით პირუტყვს საკვები მოემატება.

ნიკოლოზ ოსაძე.

☆

გასულ წლებში აგრეგატში ერთი ტრაქტორი იყო. ზოგჯერ იგი ზიანდებოდა, კომბაინი ცდებოდა. წელს ორი ტრაქტორი მოვამზადეთ.

კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც უნდა ვიმუშაოთ მოსავლის აღებაზე, მკისათვის მომზადებულია. გამგეობამ აგრეგატის მომსახურებისათვის მცოდნე და შრომისმოყვარე კოლმეურნეები გამოჰყო.

ჩვენი აგრეგატის კოლექტივი კისრულობს შემდეგ ვალდებულებებს: მოსავლის აღება 300 ჰექტარზე დაამთავროს 10 საშუალო დღეში, საშუალოდ დღეში აიღოს 30 ჰექტარი ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა და საშუალოდ ჰექტარზე გალეწოს სულ მცირე 18 ცენტნერი მარცვლეული. ჯკისრულობთ რა ამ ვალდებულებებს, სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ახმეტის მტს-ის სოლომონ რამაზაშვილის კომბაინის აგრეგატის კოლექტივს.

თელავის მტს-ის მეცხრე კომბაინის აგრეგატის კოლექტივი: ნიკოლოზ ოსაძე — აგრეგატის უფროსი, კომბაინერი; ვახტანგ რუსიშვილი — ტრაქტორისტი; ნიკოლოზ ჩიდრაშვილი — მეშტურვალე.

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ერთი ქარხნის კომუნისტები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალება ვადაზე ხუთი თვით ადრე შეასრულა, 1950 წელთან შედარებით 1955 წელს პროდუქციის მოცულობა 217 პროცენტით გაზარდა, შრომის ნაყოფიერება 205,7 პროცენტით გაადიდა და გეგმის გადამეტებით 8 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. ამასთან ქარხნის კოლექტივმა მკვეთრად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

პარტიის XX ყრილობის მუშაობის დღეებში ქარხნის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და ვალდებულება იკისრა მეექვსე ხუთწლიანი გეგმა 4 წელიწადში შეასრულოს, მეხუთე ხუთწლედთან შედარებით 50 პროცენტით გაადიდოს წარმოების მოცულობა იმავე მუშახელით, რაც მეხუთე ხუთწლედის უკანასკნელ წელს ჰყავდა, მეექვსე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუშვას 22 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ამჟამად ქარხნის კოლექტივი ბეჯითად შრომობს ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის. ამ თავდადებულ შრომას სათავეში პარტიული ორგანიზაცია უდგას. პარტიიერო სისტემატურად ამოწმებს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, განიხილავს საწარმოო საკითხებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წარმოებაში ტექნიკური პროგრესის მიღწევების, ახალი ტექნიკის დანერგვას, რაციონალიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებას, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებას. პარტიურომ გასული წლის 10 ნოემბერს მოისმინა ქარხნის მთავარი ინჟინრის ვ. კაპატაძის მოხსენება სასილოსე მასის დასაქუცმაცებელი მანქანის წარმოების ათვისების შესახებ. პარტბიუროს დადგენილება საამქროთა პარტჯგუფორგანიზატორებმა გააცნეს მუშებს, იმათ, ვინც კონკრეტულად წყვეტს ახალი პროდუქციის ათვისებისა და გამოშვების ბედს. სამსხმელო საამქროს მოწინავე მეყალიბეებმა კომუნისტმა ა. მიკირტიჩიანმა და უპარტიო ს. მისკალაშვილმა ვალდებულება აიღეს ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად ჩამოასხან სასილოსე მასის დასაქუცმაცებელი მანქანის ნაწილები. დადიდებული ვალდებულება იკისრა აგრეთვე ამწყობი საამქროს კომკავშირულმა ბრიგადამ.

კარგად მოწყობილმა პარტიულ-პოლიტიკურმა და ორგანიზატორულმა მუშაობამ სათანადო შედეგი გამოიღო. ქარხნის კოლექტივმა ნაკისრი ვალდებულება პირნათლად გაანაღდა, უკვე გამოშვებულია 45 ცალი სასილოსე მასალის დასაქუცმაცებელი მანქანა. ახლა ქარხნის კომუნისტები მუშათა მთელი კოლექტივის შრომასა და ენერგიას იქითკენ წარმართავენ, რომ წლის ბოლომდე 200 ასეთი მანქანა დაამზადონ და რესპუბლიკის კოლმეურნეობებს მიაწოდონ.

საერთო პროდუქციის გამოშვების 5 თვის გეგმა ქარხანამ 113,2 პროცენტით შეასრულა, შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება გეგმასთან შედარებით 2,4 პროცენტის გადაჭარბებით გაანაღდა, მარტო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით სამშობლოს 670 ათასი მანეთის ეკონომია მისცა.

წარმატებებს ქარხნის კომუნისტები, მუშათა მთელი კოლექტივი აღწევენ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, წარმოებაში ტექნიკურ სიახლეთა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით. სალურსმნე საამქროში წელს დაიდგა ჯაჭვსაქსოვი და ჯაჭვის შემდუღებელი ავტომატური ჩარხები, რის საშუალებითაც საამქროს კოლექტივმა აითვისა და ამჟამად მასობრივად უშვებს პირუტყვის დასაბმელ ჯაჭვებს. მექანიკურ საამქროში დაიდგა გრძივად სარანდავი, სახარატო, ხრახნსაჭრელი, გამკრიალებელი, საბურღავი და სხვა ტიპის მაღალი წარმადობის ჩარხები. ყოველივე ამან საამქროს საწარმოო სიმძლავრე გასულ წელთან შედარებით 40-45 პროცენტით გაზარდა, მკვეთრად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

ახალი ტექნიკის დანერგვასთან ერთად ქარხნის კომუნისტები დიდ ყურადღებას აქცევენ ძველი ჩარხების მოდერნიზაციასაც. კომუნისტმა ზეინკალმა ს. ლარიონოვმა მოახდინა ძველი კონსტრუქციის სახარატო ჩარხის „დიპ-200“ მოდერნიზაცია. ამ გაუმჯობესებით ჩარხის ბრუნვათა რიცხვი წამში 600-დან 1.000-მდე გაიზარდა და ლითონის ჭრის სიჩქარე 140-დან 180 მეტრამდე გადიდდა. მთავარი ინჟინრის კომუნისტის ვ. კაპატაძის ინიციატივით ქარხანაში დაამონტაჟეს სპეციალური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ამწყობ-მექანიკურ საამქროსა და ამწყობ განყოფილებას შორის მძიმე დეტალები მექანიკური წესით გადააქვთ.

კალინინის ქარხნის კომუნისტებს კარგად ესმით, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება ლითონდამამუშავებელ საწარმოებში ჭრის ჩქაროსნული მეთოდის ფართოდ დანერგვაა. დაეუფლნენ რა ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდს, კომუნისტმა ხარატებმა ი. ეგიაზაროვმა, ს. მანუკიანმა და რ. სოხაძემ დოლურების მექანიკური დამუშავების შრომატევადობა 199 საათიდან 183 საათამდე შეამცირეს, ხოლო რედუქტორების დამუშავებისა — 8 საათით.

ტექნიკურ გაუმჯობესებათა განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კომუნისტ რაციონალიზატორებს. კომუნისტმა ზეინკალმა მ. პირადოვმა გააკეთა სპეციალური სამარჯვი, რომლის გამოყენება საშუალებას იძლევა ერთდროულად დამუშავდეს სამსხმელო კონვეიერის ოთხი შემადგენელი ნაწილი. ამით კი 40 პროცენტით მცირდება ამ ოპერაციის შესასრულებლად საჭირო დრო, ნაკეთობის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად საგრძნობლად იდიდება შრომის ნაყოფიერება. კომუნისტი ოსტატის მ. ივაქოვის რაციონალიზატორული წინადადების განხორციელებამ ქარხანას 10 ტონა თუჯის სხმული დაუზოგა, თავიანთი რაციონალიზატორული წინადადებების წარმოებაში დანერგვით ქარხანას საგრძნობი ეკონომია მისცეს აგრეთვე ზეინკალმა ვ. ლოტარიამ, ხარატმა ა. ხვადაგიანმა, მღარავმა ვ. პავლოვმა და სხვებმა.

ქარხნის კომუნისტები თავდადებით იბრძვიან ტექნიკური პროგრესისათვის, მაღალი მაჩვენებლებისათვის, პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

ალ. სილაგაძე.



იშვიათად გაიგლის დღე ისე, რომ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ალაუფის კარიდან არ გავიდეს ლითონდასამუშავებელი ჩარხებით დატვირთული ღია ვაგონები. უუთებზე გაკეთებული წარწერები გვიჩვენებენ, თუ რამდენი საწარმოს დაკვეთას ასრულებენ თბილისელი ჩარხმშენებლები. აქ დამზადებულ სერიულ და სპეციალურ ჩარხებს იყენებენ ლითონდასამუშავებელ და მეტალურგიულ ქარხნებში, ნავთობის საოფლებში და სხვ. ქარხნის პროდუქცია იგზავნება ლენინგრადში, ხარკოვში, ნოვოსიბირსკში, რიგაში, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ — ჩინეთში, რუმინეთში, კორეაში, ვიეტნამში და სხვ.

სურათზე: სამეგობრო საამქროს მოწინავე მუშა ს. დუდაევი (წინა პლანზე), რომელიც ყოველდღიურ დავალებას 200 პროცენტით ასრულებს, მუშაობს კორეაში გასაგზავნი სახარატო ჩარხის შეღებვაზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტმა ნახევარი წლის გეგმა შეასრულა

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა ვადამდე, 27 ივნისს შეასრულა ქვანახშირის ამოღების ნახევარი წლის გეგმა. წლის მეორე ნახევრის ანგარიშში ტყიბულის მეშახტეებმა უკვე ამოიღეს ასობით ტონა სათბობი. ქვანახშირის ამოღება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12,6 პროცენტით გადიდდა. **(საკ. კორ.).**

შეუდგნენ კურეულის მკას

გარეუბნის რაიონში პურეულის კარგი მოსავალია. დაიწყო საშემოდგომო ქერის მკა. თავთავდამძიმებულ ყანებში მკას პირველნი შეუდგნენ მარტყოფისა და თელეთის მტს-ების მექანიზატორები.

სოფელ მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთებში მოსავლის აღება გააჩაღა კომბაინერმა ა. ბერძენიშვილმა, რომელმაც ერთ დღეს 12 ჰექტარი მომკა ნაცვლად 8 ჰექტარისა და 260 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

სოფელ თელეთის კოლმეურნეობაში მოსავლის ადების დავალებას კომბაინერები ყოველდღიურად 130-150 პროცენტით ასრულებენ და ჰექტარზე 28 ცენტნერ მარცვალს ლეწავენ. მალე ქერის მკას მასობრივად შეუდგებიან ორთაჭალის მახარაძის სახელობის, ნორიოს ლენინის სახელობის, გლდანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობები.

გ. ალეჭსიძე.

დაიწყო სილოსის ჩადება

თეთრი წყაროს. **(საკ. კორ.).** ბუნებრივი ბალახისათვის წელს რაიონში კარგი ამინდებია. ყველგან, სადაც უნდა წახვიდეთ, ბალახე დიდი რაოდენობით არის. კოლმეურნეობები უკვე შეუდგნენ სილოსის დამზადებას. სოფელ ქოსალარის კოლმეურნეობამ დროზე გაწმინდა სასილოსე ნაგებობანი. აქ უკვე ჩადებულია ბუნებრივი ბალახის 420 ტონა სილოსი. ქოსალარელ კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ წელს ერთ საფურაჟე ძოსაზე ჩადონ 7-8 ტონა ბუნებრივი ბალახებისა და სასილოსე კულტურების სილოსი.

სილოსის ჩადება წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე სოფელ დურნუკის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობაში და თეთრი წყაროს მტს-ის ზონის სხვა კოლმეურნეობებში.



ბადიაურის მტს-ის (კაჭრეთის რაიონი) კომკავშირელმა ტრაქტორისტმა ალექსანდრე ძირკველიშვილმა ვადაზე ადრე შეასრულა ვენახის კულტივაციის გეგმა. ახლა იგი გეგმის გადამეტებით აწარმოებს ვენახის კულტივაციას.

სურათზე: ა. ძირკველიშვილი კაჭრეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ვენახში მუშაობის დროს.

ფოტო ტ. ლუნგინასი.

კომკავშირული საგზურით—ყამირ მიწებზე!

დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ახალგაზრდობა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვებს ზაფხულის პერიოდში ყამირი მიწების ახალმოსახლეთა დასახმარებლად გამგზავრების შესახებ.

კომკავშირის რაიონულ კომიტეტებში დიდი გამოცოცხლებაა. პირველსავე დღეებში ასობით მუშამ, სტუდენტმა და მოსამსახურემ გამოთქვა სურვილი წავიდეს ყამირ მიწებზე მოსავლის ასაღებად.

მანქანათმშენებლების გადაწყვეტილება

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში კარგად ახსოვთ, როცა მანქანათმშენებლები ზეიმით აცილებდნენ თავიანთი კოლექტივის ექვს ახალგაზრდა წევრს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში. მას შემდეგ ორი წელი გავიდა. ლენინური კომკავშირის ათასობით წარგზავნილის თავდადებული შრომით იმ მიწებზე, რომელსაც ორი წლის წინათ ყამირს ეძახდნენ, მარცვლეულის უხვი მოსავალი მოვიდა. ყამირის დაპყრობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს მანქანათმშენებელთა წარგზავნილებმაც.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებამ კომკავშირლებისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებისადმი — „დავეხმაროთ ახალმოსახლეებს მოსავლის აღებაში“ — ფართო გამოხმაურება ჰპოვა ქარხნის ახალგაზრდა მუშებს შორის.

შემფუთავი კომკავშირელი ფ. ხობეზაშვილი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შეიტანა განცხადება, წერს: „გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა კომკავშირის მოლოტოვის სახელობის რაიკომის წინაშე, რათა გაგზავნილ ვიქნე დროებით სამუშაოზე მოსავლის ასაღებად ყამირ მიწებზე“.

აქვეა ქარხნის მოწინავე მუშების ა. აირაპეტოვის, ვ. ელიზბარიშვილის, პ. გუნჩინის, ა. შაგუნიანის, ვ. სერგეიჩევისა და სხვების განცხადებები.

— დავეხმაროთ ახალმოსახლეებს მოსავლის უდანაკარგოდ აღებაში, აუკრეფავი არ დავტოვოთ არც ერთი თავთავი — ასეთია ახალგაზრდა მანქანათმშენებლების ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

გამგზავრებას ელიან

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბევრმა სტუდენტმა ამ დღეებში დაამთავრა გამოცდები. მათი უმრავლესობა აღფრთოვანებით გამოეხმაურა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას საბჭოთა კავშირის კომკავშირლებისა და ახალგაზრდებისადმი და გადაწყვიტა წავიდეს ალტის მხარეში, მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებაში დაეხმარონ ახალმოსახლეებს.

მიმართვას პირველი გამოეხმაურა სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის 153-ე ჯგუფი. ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტში უკვე შევიდა სტუდენტების განცხადებები. პირველკურსელ კარლო ჩიკვილაძის განცხადებაში ნათქვამია:

მშობლიური კომკავშირი მოგვიწოდებს ყამირი და ნასვენი მიწების რაიონებში სწრაფად და მთლიანად ავიღოთ პური — ქვეყნის სიმდიდრე. ჩემი ჯგუფის სხვა ამხანაგებთან — თენგიზ ცერცვაძესთან, გიორგი ჯაფარიძესთან, ჯუმბერ თოდუასთან და სხვებთან ერთად გადავწყვიტე წავიდე ალტაიში, მეგობრული დახმარების ხელი გავუწოდო იმათ, ვინც დაუღალავად იბრძვის ყამირზე სიცოცხლის დამკვიდრებისათვის, მარცვლეულის უხვი მოსავლის მოყვანისათვის.

საშობლოსადმი სიყვარულის, საბჭოთა ახალგაზრდის მოვალეობის მაღალი შეგნებით არის გამსჭვალული აგრეთვე მექანიკურ-მანქანათმშენებლო ფაკულტეტის სტუდენტების ა. დავიდოვის, ვ. ნაზარენკოს, ვ. დუნაევსკის, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტების გ. ჯაფარიძის, ვ. სიმონოვისა და სხვების მიერ დაწერილი განცხადებები.

სტუდენტები დღედღეზე ელიან გამგზავრებას.

რკინიგზელის დღის აღსანიშნავად ლოკომოტივშემკეთებელთა მაღალი მაჩვენებლები

თბილისის ლოკომოტივშემკეთებელ ქარხანაში შეკეთებული ელმავლები და მოტორვაგონთა სექციები არა მარტო საქართველოს რკინიგზას უწევენ მომსახურებას. მათ ნახავთ ურალის, ჩრდილოეთ კავკასიის, აზერბაიჯანისა და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეების ფოლადის მაგისტრალებზეც. ახალი სიმძლავრეების ათვისების, მოწინავე ტექნიკის დანერგვის შედეგად საწარმოს კოლექტივი ყოველწლიურად ზრდის პროდუქციის გამოშვებას.

წელს ლოკომოტივშემკეთებლებმა კარგად იმუშავეს, საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა 117,5 პროცენტით შეასრულეს, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა 120,1 პროცენტით, მიიღეს 150.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს კიდევ უკეთესი მიღწევებით შეხვდეს რკინიგზელთა საკავშირო დღეს, ვადამდე გაანაღდოს ნახევარი წლის საწარმოო დავალება.

უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედებითი აქტივობა. მათ შემოიტანეს 20-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება. განსაკუთრებით საყურადღებოა გოგორწყვილების საამქროს ოსტატის დ. კუპატაძის წინადადება მოტორვაგონების სექციის გოგოლაჭსაკისრიანი ბუქსების გადაკეთების შესახებ. ამ წინადადების განხორციელება ქარხანას ყოველწლიურად მისცემს 28.912 მანეთ ეკონომიას. ასევე მნიშვნელოვანია ე. რიბაკის წინადადება ელექტროძრავების ღერძების დამზადების შესახებ, რაც საწარმოს ყოველწლიურად თითქმის 5 ათას მანეთს დაუზოგავს.

ქარხანაში მიმდინარეობს მუშაობა იმისათვის, რომ დ. კუპატაძის, ე. რიბაკის და სხვა ნოვატორთა რაციონალიზატორული წინადადებები განხორციელებულ იქნას რკინიგზელის დღისათვის.

მ. ცოტაძე.

გავაძლიეროთ შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა

დაბა ვალეს (ახალციხის რაიონი) მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, როცა პარტიის XX ყრილობის მასალებს გაეცნენ, გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს და შეჯიბრებაში ჩაებნენ მეზობელ სოფელ წყალთბილას კოლმეურნეობა „წითელ მესაზღვრესთან“.

კოლმეურნეთა სოციალისტური ვალდებულებანი გულისხმობს კარტოფილის, მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრ ამაღლებას. შეჯიბრებაში ჩაბმისთანავე გაჩაღდა თავდადებული ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. ვადაზე დავამთავრეთ ყველა კულტურის საგაზაფხულო თესვა. ნათესების მოვლა-დამუშავებას ვაწყობთ აგროწესების მიხედვით. კოლმეურნეები სათუთად უვლიან შემოდგომის ხორბალს. ნიადაგში სინესტის შენარჩუნების, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ნათესები დავფარცხეთ რკინის ზიგზაგით. ეს სამუშაო შევასრულეთ 5-დან 15 აპრილამდე. მინერალური სასუქებით გამოკვება მოვაწყეთ 130 ჰექტარზე.

ჩვენი ვალდებულებაა 255 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 20 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14 ცენტნერისა, გეგმის გადამეტებით თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 50 ცენტნერი ბოსტნეული, ხოლო 155 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 140 ცენტნერის ნაცვლად მივიღოთ 250 ცენტნერი კარტოფილი. ეს არც ისე იოლი საქმეა. მაგრამ ამას ჩვენი კოლმეურნეები უსათუოდ მიაღწევენ, ვინაიდან მათ აქვთ ამ ძვირფასი სასურსათო კულტურის დამუშავების დიდი გამოცდილება. კარტოფილს მყარი მოსავლის მიღების პირობად ვალელებს მიაჩნიათ ნიადაგის სწორად შერჩევა და მომზადება, ჯიშიანი და სტანდარტული თესლის მომარაგება, სასუქების გამოყენება.

წელს 155 ჰექტარზე კარტოფილი დავრგეთ მხოლოდ და მხოლოდ მზრალად ხნულზე. ადრე გაზაფხულზე, ტენის შენარჩუნების მიზნით ნიადაგი ზიგზაგით დავფარცხეთ. 10-15 დღის შემდეგ კი მზრალად ნანნავი გადავხანით 15-16 სანტიმეტრ სიღრმეზე.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში საუკეთესო შედეგს აღწევს ის ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ი. ჩიტაშვილი ხელმძღვანელობს.

გაზაფხულზე, როცა შესაძლებელი გახდა მინდვრად გასვლა, ი. ჩიტაშვილის ბრიგადის წევრები შეუდგნენ მზრალის ფარცხვას. ამით მოახდინეს ნიადაგის ზედაპირის გასწორება, ბელტების დაშლა. ტუბერები დარგეს აპრილში. თესვას წინ ნიადაგში შეიტანეს მინერალური სასუქი. ტენის შენარჩუნების და სარეველების მოსპობის მიზნით ბრიგადა ნათესს აფხვიერებს აღმოცენებამდე და აღმოცენების შემდეგ. მაღალი მოსავლის მიღების მიზნით კოლმეურნეები აწყობენ ვეგეტაციის პერიოდში მცენარის დამატებით გამოკვებას, რისთვისაც იყენებენ ნაკელს. ი. ჩიტაშვილის ბრიგადა წელს ჰექტარზე 320 ცენტნერი კარტოფილის მოსავლისათვის იბრძვის.

სოციალისტური შეჯიბრების დღეებში ვალელები დაძაბული შრომის ვითარებაში ცხოვრობენ. აქ იშვიათად ნახავთ ისეთ შრომისუნარიან კოლმეურნე ქალს და მამაკაცს, რომელსაც შრომადღის მაქსიმუმი არ ჰქონდეს გამომუშავებული.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია კოლმეურნეთა შრომითს აღმავლობას წარმართავს იქითკენ, რომ მეექვსე ხუთწლედის პირველი წელი ნაყოფიერი შრომით და ეხვი მოსავლის მოყვანით აღინიშნოს.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში გვაქვს ერთგვარი წარმატება. ვსწავლობთ კოლმეურნეთა საქმიანობას, ვცდილობთ დროზე შევამჩნიოთ ახალი, პროგრესული, მხარი დავუჭიროთ და წავახალისოთ იგი. მაგრამ ამ დარგში ბევრი ნაკლიც გვაქვს. თანმიმდევრულად არ ხდება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, მოწყობილი არ არის მოწინავეთა დაფა, არ ხდება შეჯიბრებაში ჩაბმული მეზობელი კოლმეურნეობის მუშაობის გაცნობა და სხვ.

ვალელ და წყალთბილელ კოლმეურნეთა შეჯიბრების დღეებში დაძაბული შრომა გრძელდება. იმის თქმა, თუ ვინ გაიმარჯვებს ამ შეჯიბრებაში, ჯერ ნაადრევია. მაგრამ გვჯერა, რომ ეს შეჯიბრება ორივე მხარეს დიდ სარგებლობას მოუტანს.

ნ. გოზალიშვილი,

დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიურის მდივანი.

გავაუმჯობესოთ სოფლის მოსახლეობის კინომომსახურება

როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოშიც სულ უფრო ფართოვდება საქალაქო, სასოფლო სტაციონარული და მოძრავი კინოდანადგარების ქსელი. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის კინომომსახურება. მნიშვნელოვნად გაიზარდა კინოსეანსებზე მაყურებელთა დასწრება, გადაჭარბებით შესრულდა მოსახლეობის კინომომსახურების 1955 წლის და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები.

მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება არ შეიძლება. პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელება მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მშრომელთა შორის კულტურული მუშაობის შემდგომ ამაღლებას, კერძოდ, კინომომსახურების გაუმჯობესებას, კინოქსელის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრას.

რესპუბლიკაში ბევრი რაიონი მოსახლეობის კინომომსახურების გეგმებს ასრულებს, მაგრამ ეს ხდება კინოსურათების ჩვენებით ძირითადად რაიონის ცენტრებსა და ახლო მდებარე სოფლებში, მაშინ როცა შორეულ სოფლებსა და კოლმეურნეობებს კინომომსახურება არ ეწევათ. მაგალითად, 1955 წელს დუშეთის რაიონში 56 კოლმეურნეობიდან კინოსურათები არ უჩვენებიათ 24 კოლმეურნეობაში, ორჯონიკიძის რაიონში 61 სოფლიდან 26 სოფელში, ხობის რაიონში 51 სოფლიდან 27 სოფელში. ასეთი მდგომარეობა ამჟამადაც გრძელდება.

გასულ წელს მოსახლეობის კინომომსახურების გეგმა ვერ შეასრულა 29 რაიონმა, ხოლო მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 40 რაიონმა. მოსახლეობის კინომომსახურებას გეგმებს წლიურობით ვერ ასრულებენ თიანეთის, კაჭრეთის, ხობის, ჭიათურის, ორჯონიკიძის, ბოლნისის, ტყიბულისა და სხვა რაიონები.

სოფლად არსებული ბევრი კინოდანადგარი ვერ ასრულებს როგორც საფინანსო, ისე ფილმების ჩვენების გეგმებს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 29 სასოფლო კინოდანადგარიდან სისტემატურად ვერ ასრულებს გეგმას 19, ზუგდიდის რაიონში 15 დანადგარიდან — 13, გორის რაიონში 12 დანადგარიდან — 9, ცხაკაიას რაიონში 10 კინოდანადგარიდან — 6.

მოსახლეობის კინომომსახურებას ისიც უშლის ხელს, რომ ხშირად სასოფლო და საკოლმეურნეო კლუბებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ. მაგალითად, ბოლნისის, ორჯონიკიძის, კაჭრეთის, ჭიათურისა და ტყიბულის რაიონებში ზოგიერთი სასოფლო კლუბი და კინოსურათების საჩვენებლად განკუთვნილი შენობები გამოყენებულია საწყობებად. ბევრი სასოფლო კლუბი მოუწყობელია და ნორმალური მუშაობის ელემენტარული პირობები არა აქვს. დუშეთის რაიონის ჰოპორტისა და ანანურის, ჭიათურის რაიონის ითხვისის, უსახელოსა და ბერეთისის სასოფლო კლუბებს არა აქვთ სკამები და სხვა ინვენტარი, მათი კარები დაზიანებულია, ხოლო ფანჯრის მინები ჩამტვრეული.

სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების ხარისხის ამაღლება ძირითადად დამოკიდებულია კინომექანიკოსზე. ბევრი კინომექანიკოსი პირნათლად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, დროულად აუწყებს მოსახლეობას ახალი კინოფილმების დემონსტრირების შესახებ, ითვალისწინებს მაყურებელთა მოთხოვნებს. ამასთან ერთად არიან ჩამორჩენილებიც, რაც იმის შედეგია, რომ კინომექანიკოსთა შორის ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს მუშაობა მათი იდეურ-პოლიტიკური დონისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კინოქსელის მუშაკთათვის არ ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები, საინსტრუქტაჟო თათბირები. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოწინავე კინომექანიკოსთა გამოცდილების გავრცელებას, გაშლილი არ არის სოციალისტური შეჯიბრება.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თბილისის კინომექანიკოსთა სკოლაში მსმენელთა სწავლება სუსტად არის დაყენებული (დირექტორი ამხ. მ. მოსიძე). სათანადო ყურადღება არ ექცევა მსმენელებში პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას. ამიტომ ჯერ კიდევ იშვიათი როდია შემთხვევები, როცა სკოლადამთავრებულს კინოაპარატებზე დამოუკიდებლად მუშაობა არ შეუძლია. 1955 წელს ზუგდიდის რაიონიდან აღნიშნული სკოლა 4 კაცმა დაამთავრა, მათ მიენიჭათ კინომექანიკოსის კვალიფიკაცია, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა კინოაპარატებზე დამოუკიდებლად მუშობა ვერ შეძლო. საჭიროა კინომექანიკოსთა სკოლაში საფუძვლიანად გაუმჯობესდეს მსმენელთა სწავლა-აღზრდის საქმე.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს კულტურის სამინისტროს თბილისის სარემონტო სახელოსნო (გამგე ამხ. ორახელაშვილი). სახელოსნოში დიდი ხნით ჭიანურდება კინოაპარატების, ელექტროძრავების და ავტომანქანების რემონტი. სახელოსნოს მიერ შეკეთებული ავტომანქანები, ელექტროძრავები და კინოაპარატები დაბალი ხარისხისაა და ადრე გამოდიან მწყობრიდან. მაგალითად, 1955 წელს სახელოსნოში შეაკეთეს ჭიათურის კულტურის განყოფილების ელექტროძრავი, მაგრამ მას არცერთი დღე არ უმუშავია, ხოლო ამავე განყოფილების ავტომანქანას, რომელიც იმავე სახელოსნოში შეკეთდა, ადგილზე ჩასვლის შემდეგ ისევ დასჭირდა რემონტი. ასევე უხარისხოდ შეაკეთეს ამ სახელოსნოში წითელწყაროს კულტურის განყოფილების ელექტროძრავები.

აღსანიშნავია, რომ როგორც თბილისს, ისე სხვა რაიონებში არსებულ სარემონტო სახელოსნოს არა აქვთ კინოაპარატურისა და მოწყობილობის შეკეთების საგეგმო-გამაფრთხილებელი გრაფიკი, არ ხდება კინოაპარატების საგეგმო-პროფილაქტიკური დათვალიერება, რის გამო კინოსტაციონარები და მოძრავი კინოდანადგარები ხშირად ცდება. 1955 წელს რესპუბლიკაში კინოდანადგარების გაცდენამ შეადგინა 6.674 სამუშაო დღე. მარტო გეგეჭკორის რაიონში 1955 წელს კინოქსელმა გააცდინა 202 სამუშაო დღე, ლენტეხის — 204, ლაჩხუთის — 256, ზესტაფონის რაიონში — 472 სამუშაო დღე და ა. შ. ზოგჯერ კინოსეანსები ეწყობა უხარისხოდ, ფილმების ჩვენების დროს ხშირად წყდება ლენტი, მკრთალად ჩანს გამოსახულება, ცუდად ისმის ხმა და სხვ. ყოველივე ეს მაყურებელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ამცირებს დამსწრეთა რაოდენობას, ხელს უშლის საფინანსო გეგმების შესრულებას.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის სამმართველო, „კინოპროკატის“ რესპუბლიკური კანტორა და მისი ადგილობრივი განყოფილებები სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების სარეპერტუარო გეგმებს ადგენენ სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანებისაგან მოწყვეტით, გეგმის შედგენისას არ ითვალისწინებენ რაიონებისა და სოფლების თავისებურებებს და მოსახლეობის სურვილს. როგორც „კინოპროკატის“ რესპუბლიკური კანტორა, ისე მისი ადგილობრივი განყოფილებები არიგებენ სარეპერტუარო გეგმებს. 1955 წელს „კინოპროკატის“ ცხაკაიას განყოფილებამ 168-ჯერ დაარღვია გეგმა. სარეპერტუარო გეგმებს სისტემატურად არღვევენ აგრეთვე „კინოპროკატის“ ახალციხისა და გურჯაანის განყოფილებები.

კინოქსელის ნორმალურ მუშაობას დიდად უშლის ხელს კინომომსახურების გრაფიკებისა და მარშრუტების დარღვევა. ხოლო ზოგიერთი რაიონის კულტურის განყოფილებები (ახალციხე, ასპინძა და სხვ.) სრულებით არ იდგენენ გრაფიკებს და მარშრუტებს. დარღვევის ხშირი შემთხვევებია ახმეტის, ხაშურის, კაჭრეთისა და თიანეთის რაიონებში.

არის შემთხვევები, როცა „კინოპროკატის“ რესპუბლიკური კანტორა და მისი ადგილობრივი განყოფილებები სასოფლო კინოდანადგარებისათვის ფილმების გაგზავნისას დაუდევრობას იჩენენ. მაგალითად, ორჯონიკიძის რაიონში გასულ წელს მიიღეს კინოსურათები „ჭრიჭინა“ და „მესამე დარტყმა“, რომლებსაც, გარდა იმისა, რომ აკლდა მეტრაჟის დიდი ნაწილი, არც დასაწყისი არ ჰქონდა და არც დასასრული. ხოლო კაჭრეთის რაიონში 1955 წლის სექტემბერში მიიღეს კინოსურათი „მეშვიდე ცა“, რომლის კომპლექტში აღმოჩნდა 4 ნაწილი კინოსურათისა „ისინი ჩამოვიდნენ მთებიდან“. ხშირად კინოსურათების ჩვენება ხდება უკინოფურნალოდ, რაც მაყურებელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ასეთი შემთხვევებია კასპისა და ბორჯომის რაიონებში.

ცუდად არის დაყენებული კინოსურათების რეკლამირების საქმე. ბევრ შემთხვევაში რეკლამები მიმზიდველად არ არის გაფორმებული, აფიშებში ხშირია ენობრივი შეცდომები.

კინოს პროპაგანდის საქმეში არადამაკმაყოფილებლად მონაწილეობენ სოფლის ინტელიგენცია და კომკავშირული ორგანიზაციები.

ზოგიერთ რაიონში მოუწესრიგებელია ბილეთების გაყიდვა. ბილეთის გაყიდვა და მაყურებელთა კინოდარბაზში შეშვება ხშირად დავალებული აქვთ კინომექანიკოსებს. ამას ზოგიერთი მექანიკოსი ბოროტად იყენებს, კინოსეანსებზე შეჰყავს უბილეთო მაყურებლები, ჰყიდის არა დაწესებული ნიმუშის ბილეთებს და სხვ. კულტურის განყოფილებები და საფინანსო ორგანოები კონტროლს არ უწევენ სასოფლო კინოქსელის მუშაობას.

მშრომელთა კინომომსახურება სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მნიშვნელოვანი უბანია და პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ყოველდღიურ მზრუნველობას მოითხოვს. სადაც ეს ორგანიზაციები ქმედითად ეხმარებიან კინომუშაკებს, უქმნიან მათ მუშაობის ნორმალურ პირობებს, იქ შედეგებიც კარგია. მაგრამ კინოს დიდ აღმზრდელობითს როლს ზოგან სათანადოდ არ აფასებენ. თეთრი წყაროს, ბოგდანოვკისა და ახმეტის რაიონების ზოგიერთი საკოლმეურნეო და ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციები, კოლმეურნეობათა გამგეობები და სასოფლო საბჭოები საჭირო ზომებს არ იღებენ სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების გაუჯობესებისათვის; არ ზრუნავენ კლუბებისა და სახალხო მოედნების მშენებლობისა და არსებულ საკლუბო დაწესებულებათა საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფისათვის.

მიმდინარე წლის მაისში საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების შესახებ“ და დასახა ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ცენტრალურმა კომიტეტმა აღგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს დაავალა მუდმივი დახმარება და კონტროლი გაუწიონ რაიონული და საკოლმეურნეო სტაციონარული და მოძრავი კინოდანადგარების მუშაობას, მიაღწიონ იმას, რომ კინოფილმები რაც შეიძლება მეტმა მაყურებელმა ნახოს, კინომომსახურების საქმეში ფართოდ ჩააბან სოფლის მთელი კულტურული ძალები — მასწავლებლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები, სოფლის აქტივისტები, ახალგაზრდები.

ამოცანა ის არის, რომ კინო უნარიანად გამოვიყენოთ პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების შესრულებისათვის, გადაჭრით გავაუმჯობესოთ და ახალ მოთხოვნილებათა დონეზე ავიყვანოთ სოფლის მოსახლეობის კინომომსახურება.

ა. გოგლიძე,
ა. კალანდარიშვილი.

ა ხ ტ ა ლ ა

საქართველოს კურორტები

კურორტი ახტალა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც საკმაოდ ცნობილია თავისი სამკურნალო ტალახით.

ტალახით მკურნალობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ახტალის აბანოები თავის შრომაში მოხსენიებული აქვს ცნობილ ქართველ ისტორიკოსსა და გეოგრაფს ვახუშტი ბატონიშვილს.

კურორტი ახტალა მდებარეობს ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, გურჯაანის რაიონში, რაიონის ცენტრის ახლოს. ზღვის დონიდან მისი სიმაღლე 412 მეტრია. გარდა თავისი სახელგანთქმული სამკურნალო ტალახისა, იგი ცნობილია ლამაზი პეიზაჟით, გარემოცულია ალაზნის ველის ხშირი ტყეებით და ამწვანებული მიდამოებით. მას შორიდან ამაყად გადმოსცქერის კავკასიონის ქედი და მარადთოვლიანი მყინვარწვერი, უფრო ახლოდან — ცივგომბორის მთა.

აქეთკენ, ამ ულამაზესი კუთხისაკენ მოეშურებიან არა მარტო ავადმყოფები სამკურნალოდ, არამედ ტურისტთა და ექსკურსანტთა ჯგუფებიც. ამ მიდამოებში დიდად საინტერესოა ისტორიული ძეგლები — „ყველა წმიდის ტაძარი“, „ტაძარი „ამაღლება“, სილნაღის ციხე, ბოდბისა და ხირსის მონასტრები...

ახტალის მაღალი მინერალიზაციის მქონე ტალახს იყენებენ სახსრების ქრონიკული ანთებადი პროცესების, პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებათა — იშიასის, რადიკულიტის, გინეკოლოგიურ, კანისა და ზოგიერთ სხვა დაავადებათა სამკურნალოდ. ტალახის პროცედურები კარგად მოქმედებს სისხლის შემადგენლობაზე, აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში.

ყოველწლიურად მრავალი ავადმყოფი ეწვევა ხოლმე ახტალას, მათი უმრავლესობა განკურნებული ბრუნდება შინ.

ავადმყოფების განკურნების სამსახურში დგას სანატორიუმები, პოლიკლინიკა, სამედიცინო მოწყობილობა. ავადმყოფებს კვალიფიციური ექიმები ემსახურებიან.

მრავალ ჰექტარზეა გაჩეხილი კურორტის პარკი. თვალს იტაცებს დეკორაციული მცენარეებით გამწვანებული მიდამოები, ყვავილნარები.

ჩვენი რესპუბლიკის კურორტთა შორის ახტალას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. ყოველ წელს ხალხმრავალია მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ეს შესანიშნავი კერა.

სურათზე: კურორტი ახტალა. სანატორიუმი.

ავტომანქანები კოლმეურნეობებს

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობები მეცხოველეობის პროდუქტების ნამეტის ჩაბარებისათვის სახელმწიფოსაგან მსუბუქ და სატვირთო ავტომანქანებს იღებენ. სოფელ ოდიშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ ჯერ კიდევ 1954 წლის ანგარიშში მიიღო 2 სატვირთო მანქანა „გაზ-51“.

1955 წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ნამეტი პროდუქტების ანგარიშში 35 ათასი ლიტრი რძე და 11 ტონა ხორცი ჩაბარა, რისთვისაც წელს მიიღო მსუბუქი ავტომანქანა „ზიმი“, ხოლო მალე სატვირთო მანქანასაც მიიღებს.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის ჩაბარებისათვის ავტომანქანები მიიღეს კახათის მარქსის სახელობის, ინგირის სტალინის სახელობის, ჩხორრის ჟდანოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა. (საკ. კორ.).

ეხმაურებიან წერილს — „სანიმუშოდ მოვამზადოთ სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის“

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების სანიმუშოდ მოსამზადებლად სამტრედიის რაიონში სერიოზული მუშაობა გაიშალა. ამ დიდი სახელმწიფოებრივი, მნიშვნელობის საქმეში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმის მიზნით ამას წინათ მოეწყო სკოლების დირექტორების, სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, აგრეთვე საწარმოთა ხელმძღვანელების რაიონული თათბირი, სადაც განვიხილეთ ბათუმელთა მოწოდება ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადების შესახებ.

ამ თათბირზე სკოლებისადმი დახმარების მიზნით კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს შეფმა ორგანიზაციებმა. მაგალითად, რაიაღმასკომის სამრეწველო კომბინატმა, რომელიც შეფობას უწევს სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლას, იკისრა სკოლის შენობას მიაშენოს 4 საკლასო ოთახი და პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესების მიზნით დაეხმაროს მას სასწავლო სახელოსნოს მოწყობაში. საქართველოს ჩაის ტრესტის სამტრედიის მექანიკური ქარხნის კოლექტივის ვალდებულებაა სამტრედიის 1-ლ საშუალო სკოლაში მოაწყოს მექანიზებული სასწავლო სახელოსნო და კანალიზაცია. რუსული საშუალო სკოლისათვის 16 ათასი მანეთის ღირებულების რემონტის გაკეთებას, ინვენტარის შეძენას და სასკოლო ბუფეტის მოწყობას ითვალისწინებს სამტრედიის აგურის ქარხნის კოლექტივის ვალდებულება.

მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მაგალითისამებრ სოფლების დიდი ჯიხაშნის, ილორის, საჯავახოს, იანეთის, კულაშის, გომის საშუალო და 8-წლიან სკოლებს სერიოზული დახმარებას უწევენ აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის, საკონსერვო კომბინატის, წიდაბეტონის ქარხნის, რკინიგზის სალაინდაგო დისტანციის კოლექტივები, სარეწაო კოოპერაციის არტელები და კოლმეურნეობები.

წელს კაპიტალური რემონტი გაუკეთდება 14 სასკოლო და 7 საბავშვო დაწესებულების შენობას, რაზეც დაიხარჯება 468 ათასი მანეთი, ხოლო მიმდინარე რემონტი — 29 სასკოლო შენობას. იმის გამო, რომ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება გამოცდების პარალელურად გაჩაღდა, რაიონის მეტ წილ სკოლებში მიმდინარე რემონტი დასასრულს უახლოვდება, ხოლო კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული თანხებიდან ათვისებულია 95 ათასი მანეთი.

პოლიტექნიკური სწავლების ფართოდ დანერგვის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კეთილმოწყობილი სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები. მათი საჭიროებისათვის წელს დაიხარჯება 56 ათასი მანეთი; სასკოლო ბიბლიოთეკებს შეემატება 20 ათასი მანეთის მეცნიერული, მხატვრული და პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა.

ამჟამად რაიონის ყველა სკოლაში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს დგამ-ავეჯისა და ინვენტარის რემონტი. უახლოეს დღეებში დამთავრდება 1.394 მერხის, 164 მაგიდის, 172 დაფის, 209 სკამის რემონტი, შეძენილ იქნება 100 მერხი, 160 სკამი, 35 მაგიდა და სხვ. ქალაქის 1-ლი და მე-2, საჯავახოს საშუალო და მელაურის 8-წლიან სკოლებში დაამთავრეს ინვენტარის რემონტი.

დიდი ყურადღება ექცევა საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას. ამ მიზნით მოწყობილმა აღრიცხვამ სასკოლო ასაკის ათასზე მეტი მომავალი პირველკლასელი გამოავლინა. ივნისსა და ივლისში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს გაივლის 38 მასწავლებელი.

ხორციელდება ღონისძიებანი მასწავლებელთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. დამთავრდება ბაშის საშუალო სკოლის მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლის აგება. განხორციელდა აგრეთვე საცხოვრებელი სახლების აგება სოფელ ეწრის 8-წლიანი სკოლისა და ღანირის საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის.

ჩვენი რაიონის სახალხო განათლების დარგის მუშაკები კიდევ უფრო გააძლიერებენ მუშაობას, რათა სკოლები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს.

გ. კანდელაკი,
სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე.

ქოლმეურნეობის საგავშვო ბაღი

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). სოფელ სვობოდნოეს ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ ამას წინათ მიიღო გადაწყვეტილება საბავშვო ბაღისა და ბაგის გახსნის შესახებ. გამოყვეს კეთილმოწყობილი შენობა, მოკირწყლეს ეზო, შეიძინეს საწოლები, თეთრეული, შეარჩიეს საუკეთესო აღმზრდელები. ბაღმა მუშაობა უკვე დაიწყო. კოლმეურნეებს ყოველდღიურად აქ 60-მდე ბავშვი მოჰყავთ.

თეატრი

საინგეჩაურის შემოქმედებითი კოლექტივი

ჩრდილოეთ ოსეთის რუსული დრამის რესპუბლიკური თეატრის გასტროლების გამო

უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც თბილისს საგასტროლოდ ეწვია ჩრდილოეთ ოსეთის რუსული დრამის რესპუბლიკური თეატრი. სტუმრები თბილისელი მაყურებლის წინაშე წარსდგნენ მეტად მრავალფეროვანი რეპერტუარით. მათ უჩვენეს თეატრის საუკეთესო დადგმები: „დიდი ხელმწიფე“, „ნამდვილი ადამიანი“, „ბროლის წყარო“, „პანი დულსკაიას მორალი“, და სხვ.

პირველ რიგში აღსანიშნავია ამ სპექტაკლების მაღალი მხატვრული დონე. იგრძნობა, რომ თეატრის კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდებია საგასტროლო მოგზაურობას, ბევრი უმუშავნია სარეპერტუარო სპექტაკლების სრულყოფაზე და კიდევაც მიეღწევია სასურველი შედეგისათვის. ყველა სპექტაკლი, რომლებიც უჩვენა თეატრმა თბილისელ მაყურებელს, გამოირჩევა მაღალი ანსამბლურობით, კარგი აქტიორული შესრულებით, გემოვნებითა და სადადგმო ნაწილის მაღალი დონით.

ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ორ სპექტაკლზე — კოსტა ხეთაგუროვის „ფატიმაზე“ და „ნამდვილ ადამიანზე“ (ბორის პოლევოის რომანის „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“ ინსცენირება).

ორივე სპექტაკლი დადგმულია თეატრის მთავარი რეჟისორის დ. გრანინის მიერ. მათში ნათლად ჩანს ამ რეჟისორის შემოქმედებითი თავისებურება — სწრაფვა შინაგანი სიმართლის გახსნისაკენ, ბუნებრივობისაკენ.

რა თქმა უნდა, იმ მხატვრული დონის მიღწევა, რომელზეც დგას სარეცენზიო სპექტაკლები, არ შეეძლო მხოლოდ რეჟისორს — მას დიდად დაეხმარა სპექტაკლზე მომუშავე მთელი კოლექტივი, განსაკუთრებით კი კარგად შერჩეული ბსახიობები.

სულ სხვადასხვა ხასიათის როლებში იხილა მაყურებელმა თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი ს. რაბინოვი. ერთ შემთხვევაში იგი განასახიერებდა ძლიერი ნების, ჭეშმარიტ საბჭოთა ადამიანს — დაჭრილ კომისარს, ხოლო მეორე შემთხვევაში ოსეთის მდიდარ მემამულეს. ორივე ეს სახე შექმნილია დიდი ძახტვრული სიმართლითა და დამაჯერებლობით, თანაბარი სიძლიერით, ამავე დროს თავისებურად, სხვადასხვაგვარად.

და განა მარტო ს. რაბინოვი, თეატრის მთელი რიგი სხვა წამყვანი მსახიობები: ვ. ბირიუკოვი, ტ. პეტროვა, ლ. კონდირევი, მ. სანდრო-ნოვიკოვი და სხვები ორივე სპექტაკლში ასრულებენ როგორც წამყვან, ისე ეპიზოდურ როლებს, და როგორც ერთში, ისე მეორეში თანაბარი სიძლიერით წარმოგვიდგენენ მხატვრულ სახეებს.

„ნამდვილი ადამიანი“ — ეს არის სპექტაკლი, რომელიც უდიდესი დამაჯერებლობით მოგვითხრობს საბჭოთა ადამიანების უმაგალითო სიმტკიცეზე, ნებისყოფაზე, სიცოცხლისუნარიანობაზე. ამ სპექტაკლის ყველა პერსონაჟი დადებითი ადამიანია, მაგრამ არა უნაკლო, გამოგონილი იდეალები, არამედ ნამდვილი, ცოცხალი, სისხლსავსე ადამიანები, მათთვის დამახასიათებელი ყველა ღირსებებითა და ნაკლოვანებებით. აი პოლკის კომისარი (მსახიობი ს. რაბინოვი) — საოცრად გულთბილი და მზრუნველი, მახლობელთა სული და გული, ამავე დროს გაუტეხელი ძალისა და ნების პატრონი; აი სიცოცხლით სავსე, მხიარული მოხუცი სტეპან სტეპანოვიჩი (ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახალხო არტისტი ლ. კონდირევი), რომელსაც მობეზრდა ომი, მოენატრა მშობლიური სოფელი, სახნისი და გუთანი, მაგრამ ვიდრე ომია, იცის, რომ მისი ადგილი ფრონტზეა; ან მოხუცი

სცენა სპექტაკლიდან „ფატიმა“.

ძალუა ვასილისა (მსახიობი ტ. პეტროვა), რომელსაც დიდი, ბედნიერი ოჯახიდან ერთი ქათამი-ღა შერჩა. მას თითქოს არ ემეტება დასაკლავად თავისი ეშმაკი „პარტიზანკა“, მაგრამ ეს ყოყმანი წუთიერია — საბჭოთა მებრძოლისათვის იგი ქათამს კი არა, სიცოცხლესაც არ დაიშურებს; აქვეა მოხუცი ექიმი ვასილი ვასილიჩი (ყაზახეთის სსრ დამსახურებული არტისტი მ. სანდრო-ნოვიკოვი); ეს ხალხისათვის თავდადებული დოსტაქარი ისე ძლიერად შეარყია ერთადერთი შვილის დაღუპვამ, რომ არის მომენტი, როცა იგი ნანობს — რატომ არ შეუშალა ხელი შვილს ფრონტზე წასვლაში. მაგრამ ეს განცდა ხანგრძლივი არ არის. ექიმი ისეთივე მამაა, როგორიც მრავალი სხვა საბჭოთა მოქალაქე, და, მაშასადამე, სხვაგვარად მოქცევა მას არ შეეძლო. აქვე არიან სპექტაკლის სხვა გმირებიც — ყველანი თავისი გარკვეული მიზნისაკენ მიისწრაფვიან, ყველა თავის ამოცანას ასრულებს; მაგრამ ყველანი მჭიდროდ არიან დარაზმული სპექტაკლის მთავარი გმირის ალექსი მერესიევის ირგვლივ.

ვფიქრობთ, არ მოიძებნება ჩვენს შორის ადამიანი, რომელიც არ აეღელვებინოს მერესიევის ჭეშმარიტად გაოცარ, ზღაპრულ ნებისყოფასა და გმირობას. და, მაშასადამე, არ შეიძლებოდა არ აღელვებინა, არ აღეფრთოვანებინა მას ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი ვ. ბონდარენკო, რომელსაც დაეკისრა ამ როლის შესრულება. მსახიობმა პირველივე სურათიდან დაგვანახვა თავისი გმირის ორი თვისება — სწრაფვა დასახული მიზნისაკენ (გაიღწიოს მტრის გარემოცვას) და კაცთმოყვარეობა (შეხვედრა დაჭრილ ქალიშვილთან). რწმენით, სიმტკიცით არის აღსავსე ვ. ბონდარენკო-მერესიევის სახე, მისი გასაოცრად მეტყველი თვალები იმ დრომდე, ვიდრე მას ფეხებს მოკვეთდნენ. ამ სურათიდან სრულიად იცვლება ჩვენი გმირი — მის სახეზე რწმენას ცვლის სასოწარკვეთილება. ამ მდგომარეობამდე მერესიევი მიიყვანა აზრმა, რომ იგი ვერასოდეს ვეღარ შეძლებს ავიგაგამანადგურებლით განავრდება. მაგრამ მეგობრების მხარდაჭერის, მათი გულისხმიერების მეოხებით მერესიევში ეს გრძნობა დიდხანს ვერ ისადგურებს — მას მაყურებლის თვალწინ, თანდათანობით უბრუნდება რწმენა, იგი თავგამოდებულ ბრძოლას უცხადებს თავის სენს. მსახიობმა დამაჯერებლად წარმოგვისახა ეს თანდათანობით გაღვიძება მერესიევის მიძინებული რწმენისა და ნებისყოფისა, რაც უდავოდ ქების ღირსია.

როლების ოსტატური შესრულებით გამოირჩევიან აგრეთვე მსახიობები ვ. ნეჩაევი, რომელმაც დამაჯერებლად გადმოგვცა დასახიჩრებული მებრძოლის გვოზდევის განცდები, და ა. კარპოვი, რომელმაც სწორად გაიგო და კარგადაც განასახიერა წარმატებით ოდნავ გაყოყოჩებული გმირი სტრუჩკოვი; მოხუცი პაპა მიხაილოს როლის შემსრულებელი ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ი. მიატელევი და სრულიად ახალგაზრდა მსახიობი, მეტად უშუალო, კარგი სცენიური მონაცემების მქონე ვ. ლაზარევი (მებრძოლი კუკუშკინი).

სპექტაკლი „ფატიმა“ მოგვითხრობს ოსი ახალგაზრდა ქალის ფატიმას ტრაგიკულ ბედზე. ობოლ ქალიშვილს, რომელიც იშვილა მდიდარმა მემამულემ, და ამ მემამულის ვაჟს ჯამბულატს უყვართ ერთმანეთი. შეფიცავენ ერთურთს ერთგულებას, მაგრამ ვაჟი მტრის შემოსევის მსხვერპლი ხდება — მას გაიტაცებენ. რამდენიმე წლის ლოდინის შემდეგ ფატიმა ცოლად მიჰყვება თავის მოტრფიალე ხელმოკლე, მაგრამ პატიოსან იბრაგიმს. სათნოებითა და კეთილშობილებით აღსავსე ფატიმა ერთგული რჩება მეუღლისა მაშინაც, როდესაც გამოჩნდება ჯამბულატი. იგი უარყოფს ჯამბულატის სიყვარულს და მსხვერპლად ეწირება ამ უარყოფას — ჭკუაზე იშლება. აი სწორედ აქედან გვინდა დავიწყოთ ფატიმას როლის შემსრულებლის გ. ხუგაევას თამაშის განხილვა. მსახიობისათვის მეტად სახიფათო ადგილი — ჭკუაზე შეშლის სცენა ნიჭიერმა ახალგაზრდა მსახიობმა დიდი უშუალობით, სადად, დამაჯერებლად და ზომიერად ჩაატარა. იგი თავიდანვე მეტად ბუნებრივი, გულწრფელი და ოდნავ რომანტიკულია, რასაც ვერ ვიტყვით მის მიერვე ზინოჩკას ეპიზოდური როლის შესრულებაზე სპექტაკლში „ნამდვილი ადამიანი“. აქ მსახიობის ინტონაციებიცა და მოძრაობაც დაძაბულობის, ნაძალადევობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჯამბულატის როლში მაყურებელმა იხილა კარგი სცენიური მონაცემების, საამო გარეგნობის, ძლიერი ხმისა და ღრმა განცდების მქონე ახალგაზრდა მსახიობი გ. ზავალოვი. მან დამაჯერებლად გადმოგვცა ჯამბულატის ფიცხი ბუნება, მისი თავაწყვეტილი ტემპერამენტი. განსაკუთრებით ძლიერი იყო მსახიობი უკანასკნელ სურათში.

მაყურებლის მოლოდინი ვერ გაამართლა გამოცდილმა მსახიობმა ვ. ნეჩაევმა, რომელმაც არაერთი საინტერესო სახე გვიჩვენა საგასტროლო რეპერტუარში. მის იბრაგიმს გულითადობა აკლია, იგი ოდნავ ცივი და პატეტიკურია.

ორივე სარეცენზიო სპექტაკლში მაღალ დონეზე დგას მხატვრული გაფორმება (მხატვრები ვ. ფუფიგინი და ა. ბელოვი), როგორც ჩანაფიქრის, ისე შესრულების მხრივ.

სპექტაკლ „ფატიმაში“ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ დამსახურებული არტისტის კ. ცაბოლოვის მიერ დადგმული ცეკვები.

საერთო შთაბეჭდილება სპექტაკლებისაგან კარგია. ისინი ბევრ რამეზე აფიქრებენ, ბევრ საინტერესო აზრებს აღუძრავენ მაყურებელს. ვუსურვოთ ჩვენს ძვირფას სტუმრებს შეუფერხებელი წინსვლა და ახალი წარმატებანი თავიანთ შემოქმედებაში.

ლ. ყუარულაშვილი.

საბჭოთა კავშირ-პაკისტანის ერთობლივი კომუნიკე სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერის შესახებ

1956 წლის 1-დან 27 ივნისამდე კარაჩში წარმოებდა სავაჭრო მოლაპარაკება სსრ კავშირის მთავრობისა და პაკისტანის მთავრობის წარმომადგენლებს შორის. ამ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც დიდი გულითადობისა და მეგობრობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ამა წლის 27 ივნისს ხელი მოაწერეს სავაჭრო შეთანხმებას.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით — საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ მ. რ. კუზმინმა; პაკისტანის მთავრობის რწმუნებით — ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ მ. კარამატულამ.

შეთანხმება ითვალისწინებს ორივე ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ სარგებლობის საწყისებზე. შეთანხმების პირობების მიხედვით ორივე ქვეყანამ მიანიჭა ერთმანეთს უმეტესი ხელშეწყობით მოსარგებლე ერის რეჟიმი იმპორტსა და ექსპორტში და სხვა საკითხებში.

შეთანხმებით გათვალისწინებულია აგრეთვე ანგარიშსწორების წესი, რომლის თანახმად სსრ კავშირსა და პაკისტანს შორის ყველა იმ გადასახდელის გასტუმრება, რომელიც შეეხება საქონლის იმპორტს ან ექსპორტს, და კომერციული ხასიათის სხვა გადასახდელების გასტუმრება იწარმოებს პაკისტანის რუპიით.

იმ საქონლის რიცხვში, რომელიც პაკისტანმა უნდა მიაწოდოს სსრ კავშირს, შედის ჯუთი და ჯუთის ნაწარმი, ბამბა, მატყლი, ტყავის ნედლეული და დათრიმლული ტყავი, ჩაი და სხვა საქონელი.

სსრ კავშირი პაკისტანში გაიტანს სხვადასხვა სამრეწველო მოწყობილობას, ჩარხებსა და ინსტრუმენტს, ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, საკისრებს, ლითონებს, ქიმიურ საქონელს, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, ხე-ტყის მასალებსა და სხვა საქონელს.

ეს შეთანხმება, რომელიც წარმოადგენს პირველ ამგვარ სავაჭრო შეთანხმებას სსრ კავშირსა და პაკისტანს შორის, ურთიერთ ვაჭრობის უფრო ფართო შესაძლებლობებს უსახავს საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და პაკისტანის კერძო ფირმებსა და ორგანიზაციებს.

იმ მიზნით, რომ გაადვილდეს ვაჭრობა, რომელიც ხორციელდება შეთანხმების შესაბამისად, სსრ კავშირის მთავრობა უახლოეს დროში დააარსებს სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობას პაკისტანში, რომლის ადგილსამყოფელი იქნება კარაჩი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვის მოლაპარაკება ლიბანში

ბეირუთი, 27 ივნისი. (საკდესი). გუშინდღის მეორე ნახევარში წარმოებდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვის მოლაპარაკება ლიბანის მთავრობის ხელმძღვანელებთან ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

ლიბანის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ლიბანის პრემიერ-მინისტრი აბდალაჰ იაფი, საგარეო საქმეთა მინისტრი სელიმ ლაჰუდი, სახელმწიფო მინისტრი საიბ სალამი, პარლამენტის თავმჯდომარე ადელ ოსეირანი, ლიბანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორი ფუად ამუნი და სხვა ოფიციალური პირები.

სადილზე იყო სსრ კავშირის დესპანი ლიბანში ს. პ. კიკტევი.

კამილ შამუნმა დ. ტ. შეპილოვმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

პრეზიდენტმა შამუნმა თავის მოკლე სიტყვაში თქვა, რომ ძლიერ მოხარულია მიესალმოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს დ. ტ. შეპილოვს ლიბანის მიწაზე როგორც ლიბანის მეგობრული ქვეყნის ძვირფას სტუმარს და უსურვოს მას მშვიდობით ყოფნა ლიბანის დედაქალაქში.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა:

ბატონო პრეზიდენტო! ბატონებო!

ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა გულითადი მადლობა გადგიხადოთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, და ლიბანის რესპუბლიკის მთავრობას თავაზიანი მოწვევისათვის თქვენს მშვენიერ ქვეყანაში.

კურთხეულია ლიბანის მიწა და წყალი, თავისუფლებასმოყვარე და სტუმარმოყვარეა ლიბანელი ხალხი. ჩვენთვის სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ მეგობრობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ხალხებს აკავშირებს ლიბანელ ხალხთან, მტკიცდება და ვითარდება დიდი და პატარა ხალხების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემის, თავდაუსხმელობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის დიადი პრინციპების მტკიცე, საიმედო საფუძველზე, სრული თანასწორობისა და ურთიერთ სარგებლობის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირი, რომელიც იცავს ეროვნული პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს და კოლონიალიზმის შეურიგებელი მოწინააღმდეგეა, არაბთა ქვეყნების ერთგული მეგობარია დამოუკიდებლობისათვის, დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოთა განვითარებისათვის ბრძოლაში. ცნობილია, რომ საბჭოთა მთავრობა ყოველთვის თანაგრძნობით ეპყრობოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ლიბანის ბრძოლას და ეაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მხარი დაუჭირა ლიბანის სამართლიან მოთხოვნას მისი ტერიტორიიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის შესახებ. საბჭოთა მთავრობა უცვლელად უჭერდა და უჭერს მხარს საერთაშორისო ორგანიზაციებში ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების, მათ შორის ლიბანის კანონიერ მოთხოვნებს, რომელთა მიზანია ამ ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცება.

ჩვენ ვიცით, რომ დედამიწის ამ უბანზე არის თავისი გადაუჭრელი პრობლემები. მაგალითად, მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია მძიმე მდგომარეობა არაბი ლტოლვილებისა, რომლებსაც არა აქვთ თავიანთი სახლკარი და არსებობის სახსრები, უზომოა ასეულ ათასობით ამ ადამიანის ტანჯვის ფიალა.

საბჭოთა კავშირი განუხრელად ახორციელებს მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკას. ამასთან დაკავშირებით საკმარისია გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის ბრძოლა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის, შეიარაღების დაუყოვნებლივ შემცირებისა და ამ შემცირებისადმი ეფექტიანი კონტროლის დაწესებისათვის, ეგრეთწოდებული „ცივი ომის“ ლიკვიდაციისათვის. ცნობილია, რომ, ახორციელებს რა თავის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, საბჭოთა მთავრობამ ცალმხრივად შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალები, და ახლა ჯერი სხვა სახელმწიფოებზეა — მხარი დაუჭირონ საბჭოთა კავშირის ინიციატივას. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის ასეთი პოლიტიკა შეესაბამება ყველა ხალხის, მათ შორის ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხების, ძირეულ ინტერესებს, რადგან მისი მიზანია საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნება და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ, რამდენადაც ამჟამად არაბთა ქვეყნების მთავარი პრობლემაა მათი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შემდგომი განმტკიცება, ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარება და ხალხის მასების კეთილდღეობის გაუმჯობესება, ამ ქვეყნებისათვის პირველი საარსებო საჭიროებაა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება ახლო აღმოსავლეთში. ამ საქმეში არაბთა ქვეყნებს შეუძლიათ იქონიონ საბჭოთა კავშირის, როგორც თავიანთი ერთგული, საიმედო და უანგარო მეგობრის იმედი, რომელიც თავისთვის არ ეძებს რაიმე სარგებლობას ან უპირატესობას პოლიტიკურ და ეკონომიურ დარგებში, კერძოდ უპირატესობას არაბთა ქვეყნების ბუნებრივი სიმდიდრის ექსპლოატაციაში, პრინციპულად უარყოფს ეკონომიური ექსპანსიის პოლიტიკას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს იმპერიალისტურ მონოპოლიებს სუსტად განვითარებული ხალხების ნერვებში და კუნთები, ოფლი და სისხლი გადაექციონ მოგების ოქროს ზოდებად.

საბჭოთა კავშირში ესმით და დიდად აფასებენ აგრესიულ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკას, რომელსაც ლიბანი ახორციელებს. ეს პოლიტიკა შეესაბამება ხალხის ძირეულ ინტერესებსა და მშვიდობის საქმეს.

საბჭოთა კავშირსა და ლიბანს ცოტა როდი აქვთ ურთიერთობის საერთო წერტილები და საერთო ინტერესები, რაც ქმნის ორივე ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას. საბჭოთა კავშირმა ლიბანთან დადო ურთიერთ სასარგებლო სავაჭრო და საგადამხდელო შეთანხმება, რაც დიდი მნიშვნელოვანი ეტაპია ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარებაში. ეს შეთანხმება ხელს უწყობდა და, როგორც იმედი გვაქვს, კვლავაც შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნების საქმიანი ურთიერთობის გაფართოებას. არის აგრეთვე კარგი პერსპექტივები ჩვენს ქვეყნებს შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის, კულტურისა და ხელოვნების დარგში საქმიანი ურთიერთობის დამყარებისა და განვითარებისათვის. ამ ურთიერთობას საბჭოთა კავშირი აშენებს ნამდვილი თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ლიბანის ეროვნული კულტურის მაღალი დონე ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ ლიბანში მომზადდეს საკუთარი ეროვნული კადრები, რომლებიც შეძლებენ გადაჭრან სამამულო მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარების საკითხები. ჩვენი მხრივ მზად ვართ მეგობარ ლიბანს გავუწიაროთ ჩვენი გამოცდილება და ხელი შევუწყოთ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ჩამოსვლა ლიბანის რესპუბლიკაში, აგრეთვე საბჭოთა კავშირში ლიბანის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების მომავალი გამგზავრება კეთილნაყოფიერ შედეგს გამოიღებს ჩვენი ქვეყნების მეგობრობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

ნება მიბოძეთ წარმოვთქვა მისი აღმატებულების პრეზიდენტის, ლიბანის პარლამენტის, ლიბანის მთავრობის. ჩვენი მეგობრობის სადღეგრძელო და აყვავება და ბედნიერება ეუსურვო მამაც და შრომის მოყვარე ლიბანელ ხალხს.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ლიბანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სადილი გამართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვის პატივსაცემად

ბეირუთი, 27 ივნისი. (საკდესი). გუშინ საღამოს ლიბანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კამილ შამუნმა სადილი გამართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ტ. შეპილოვის პატივსაცემად, რომელიც ლიბანში იმყოფება ლიბანის მთავრობის მოწვევით.

სადილზე იყვნენ: ლიბანის პრემიერ-მინისტრი აბდალაჰ იაფი, საგარეო საქმეთა მინისტრი სელიმ ლაჰუდი, სახელმწიფო მინისტრი საიბ სალამი, პარლამენტის თავმჯდომარე ადელ ოსეირანი, ლიბანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორი ფუად ამუნი და სხვა ოფიციალური პირები.

სადილზე იყო სსრ კავშირის დესპანი ლიბანში ს. პ. კიკტევი.

კამილ შამუნმა და დ. ტ. შეპილოვმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

პრეზიდენტმა შამუნმა თავის მოკლე სიტყვაში თქვა, რომ ძლიერ მოხარულია მიესალმოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს დ. ტ. შეპილოვს ლიბანის მიწაზე როგორც ლიბანის მეგობრული ქვეყნის ძვირფას სტუმარს და უსურვოს მას მშვიდობით ყოფნა ლიბანის დედაქალაქში.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა:

ბატონო პრეზიდენტო! ბატონებო!

ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა გულითადი მადლობა გადგიხადოთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, და ლიბანის რესპუბლიკის მთავრობას თავაზიანი მოწვევისათვის თქვენს მშვენიერ ქვეყანაში.

ეს ბრძანებულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

მოსკოვი, კრემლი
29 ივნისი, 1956 წ.
№ 1000

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 27 ივნისი. (საკდესი). გუშინ გაიმართა უშიშროების საბჭოს ორი სხდომა, რომლებზეც განიხილავდნენ აზიისა და აფრიკის 13 სახელმწიფოს თხოვნას უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში ალჟირის საკითხის შეტანის შესახებ.

დილის სხდომაზე წინასწარი დღის წესრიგის განხილვამდე სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა განაცხადა, რომ ალჟირის საკითხი დიდმნიშვნელოვანი საკითხია და რომ უშიშროების საბჭოს წევრებს ესაჭიროებათ დამატებითი დრო, რათა მოიფიქრონ მდგომარეობა ან შეკრიბონ დამატებითი ინფორმაცია.

ამიტომ სობოლევმა წინადადება შეიტანა გადაიდოს საკითხის განხილვა განუსაზღვრელი დროით, რაკი მხედველობაში აქვს, რომ უშიშროების საბჭო შეიძლება მოწვეულ იქნას უშიშროების საბჭოს წევრებისა და თავმჯდომარის კონსულტაციის შემდეგ. ირანის წარმომადგენელმა, რომელმაც 12 სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ხელი მოაწერა თხოვნას, რომ უშიშროების საბჭოს განეხილა ალჟირის საკითხი, განაცხადა, რომ არ არის სობოლევის წინადადების წინააღმდეგი.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ალფანმა კატეგორიულად გაიელაშქრა ამ წინადადების წინააღმდეგ და დაჟინებით მოითხოვა წინასწარი დღის წესრიგის დაუყოვნებლივ განხილვა. რამდენადაც საფრანგეთის წარმომადგენელს ალჟირის საკითხის განხილვა უშიშროების საბჭოს მიერ მიაჩნია საფრანგეთის „საშინაო საქმეებში“ ჩარევად, მისი წინააღმდეგობის მიზანი იყო მიეღწია სასწრაფო გადაწყვეტილებისათვის — საერთოდ არ განეხილათ ალჟირის საკითხი.

საფრანგეთის წარმომადგენლის პოზიციას საბჭოთა კავშირის წინადადების მიმართ მხარი დაუჭირეს ინგლისისა და ბელგიის წარმომადგენლებმა. კენჭისყრის შედეგად ეს წინადადება უარყოფილ იქნა, და უშიშროების საბჭო შეუდგა წინასწარი დღის წესრიგის განხილვას.

ირანის წარმომადგენელმა აბდალმა მოიყვანა იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ უშიშროების საბჭოს არათუ აქვს უფლება განიხილოს მდგომარეობა ალჟირში, არამედ მოვალეც არის ეს გააკეთოს იქ წარმოებული კოლონიური ომის შეწყვეტის ინტერესებისათვის, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

საფრანგეთის წარმომადგენელ დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მდგომარეობა ალჟირში საფრანგეთის საშინაო საქმეა, და სადაოს ხდიდა უშიშროების საბჭოს კომპეტენციას განიხილოს ალჟირის საკითხი.

საღამოს სხდომის დასაწყისში ირანის წარმომადგენელმა აბდალმა უპასუხა საფრანგეთის წარმომადგენლის ზოგიერთ შენიშვნაზე. ვან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის წარმომადგენლის განცხადებას არ შეუწყვეია არც ერთი მოსაზრება, რომელიც გამოთქმული იყო იმის სასარგებლოდ, რომ საჭიროა უშიშროების საბჭომ განიხილოს ალჟირის საკითხი და რომ საბჭო კომპეტენტურია განიხილოს ეს საკითხი. აბდალმა გაიხსენა, რომ წარსულში, როცა მართლაც წარმოიშობოდა ეჭვი უშიშროების საბჭოს კომპეტენტურობის შესახებ ამა თუ იმ საკითხის განხილვის დროს, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლები ემხრობოდნენ თხოვნის დაკმაყოფილებას, რომ საბჭოს დღის წესრიგში შეეტანა ეს საკითხები. დასასრულ ირანის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს გულგრილობას ალჟირის მდგომარეობისადმი შეუძლია სერიოზული შედეგები გამოიწვიოს.

ინგლისისა და ბელგიის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს საფრანგეთის დელეგატის თვალსაზრისს. ამასთან ბელგიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმ ქვეყნების წარმომადგენლებს, „რომლებიც შეიძლება თვითონ აღმოჩნდნენ ანალოგიურ სიტუაციაში“, არ შეუძლიათ ცნონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების უფლება განიხილონ ასეთი საკითხები.

კოლონიურ სახელმწიფოთა პოზიციას საკუთრივ დაუჭირა მხარი კუბის წარმომადგენელმა. პერუს წარმომადგენელმა აზრი გამოთქვა, რომ უშიშროების საბჭოს მიერ ალჟირის საკითხის განხილვა სასურველი არ არის.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა ბრილეამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი შეშფოთებულია ალჟირში შექმნილი მდგომარეობის გამო და რომ საჭიროა ორივე ქვეყანამ გამოიჩინოს მისწრაფება გამონახონ ამ საკითხის დამაკმაყოფილებელი გადაჭრა. მან აზრი გამოთქვა, რომ მწვავე დისკუსია უშიშროების საბჭოში ხელს შეუშლიდა ასეთ ღონისძიებებს, და გალაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ საბჭომ განიხილოს ამჟამად ალჟირის საკითხი.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა, რომელსაც სადავოდ არ გაუხდია უშიშროების საბჭოს კომპეტენცია განიხილოს ალჟირის საკითხი, განაცხადა, რომ „უშიშროების საბჭოს მიერ ამ სიტუაციის განხილვა ამჟამად ხელს არ შეუწყობდა მის გადაჭრას“ და რომ ამიტომ იგი ხმას მისცემს საბჭოს დღის წესრიგში ალჟირის საკითხის შეტანის წინააღმდეგ.

საღამოს სხდომაზე გამოსულმა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა განაცხადა: „უშიშროების საბჭოში შემოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 13 ქვეყნის თხოვნა განიხილონ ალჟირში შექმნილი სიტუაცია. საბჭო ამჟამად განიხილავს მხოლოდ საკითხს დღის წესრიგში ამ თხოვნის შეტანის შესახებ. ამის შესაბამისად მე არ შევეხები იმ საკითხის არსს, რომელიც აღძრულია 13 სახელმწიფოს წერილში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ასეთ თხოვნას, ბუნებრივია, არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს უშიშროების საბჭომ, მით უმეტეს, რომ ეს სახელმწიფოები ამტკიცებენ, ამ რაიონში მშვიდობასა და უშიშროებას საფრთხე მოელისო. იმისთვის, რომ გამოვარკვიოთ, არის თუ არა მშვიდობისათვის ასეთი საფრთხე, საჭიროა მოვუსმინოთ მხარეებს და აზრები გავუზიაროთ ერთმანეთს უშიშროების საბჭოში.

უშიშროების საბჭოს გუშინდელი დილის სხდომის დასაწყისში საბჭოთა კავშირის დელეგაციამ იმის დასასაბუთებლად, რომ საჭიროა მეტი დრო, რათა მოიფიქრონ შექმნილი მდგომარეობა და მიიღონ დამატებითი ინფორმაცია, ითხოვა სხდომის გადადება.

სსრ კავშირის დელეგაციამ ირანის წარმომადგენლის ბ-ნ აბდალის თანხმობა ჩვენს წინადადებასთან ისე შეაფასა, რომ უშიშროების საბჭოსადმი მიმართვის ავტორები იჩენენ თანამშრომლობის მაქსიმალურ სულისკვეთებას ალჟირის საკითხის მოწესრიგების შესაძლო გზების გამოძებნაში. ამის მიხედვით ჩვენთვის ძნელია იმ პოზიციის გაგება, რომელიც საფრანგეთის წარმომადგენელმა ბ-ნმა ალფანმა დაიკავა; იგი გადაჭრით ეწინააღმდეგება ინიციატივას, რომელიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ გამოიჩინა. ბ-ნ ალფანის ეს პოზიცია მით უფრო გაუგებარია, რომ საბჭოთა წინადადება მიზნად ისახავდა მხოლოდ იმას, რომ უშიშროების საბჭოს წევრებისათვის მიეცა დრო და შესაძლებლობა კონსულტაცია მოეწყოთ სხვა დელეგაციებთან, მათ შორის საფრანგეთის დელეგაციასთან.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უშიშროების საბჭო ამ საკითხს შეიტანს თავის დღის წესრიგში, ობიექტურად განიხილავს 13 სახელმწიფოს საჩივარს და დახმარებას გაუწევს ამ საკითხის გადაჭრას იმ სულისკვეთებით, როგორითაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოწოდებულია გააკეთოს ეს.

ეყრდნობა ხმას ზემოთქმულს, საბჭოთა დელეგაცია ხმას მისცემს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 13 ქვეყნის საჩივარი შეტანილ იქნას საბჭოს დღის წესრიგში“.

კენჭისყრის შედეგად 13 სახელმწიფოს თხოვნა, რომ ალჟირის საკითხი შეტანილ იქნას უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში, უარყოფილ იქნა.

დღის წესრიგში საკითხის შეტანას ხმა მისცეს სსრ კავშირისა და ირანის წარმომადგენლებმა. წინააღმდეგ ხმა მისცეს საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ბელგიის, ავსტრალიის, კუბისა და პერუს წარმომადგენლებმა. იუგოსლავიის წარმომადგენელმა, აგრეთვე ჩანკაიშელმა თავი შეიკავეს.

პარტიის სტალინირის რაიონული კომიტეტის ახალი შენობა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★

ფერენც ლისტის გარდაცვალების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში მოაწყო დიდი უნერვული კომპოზიტორის ფერენც ლისტის გარდაცვალების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა დოცენტმა პ. ხუჭუამ. საქართველოს სიმფონიურმა ორკესტრმა სტალინური პრემიის ლაურეატის კომპოზიტორ შ. აზმაიფარაშვილის დირიჟორობით შეასრულა ფერენც ლისტის პოემა „ტასო“ და „პრელიუდიები“. თენგიზ ამირაჯიბის მონაწილეობით შესრულებულ იქნა ფანტაზია „უნგრული ხალხურ თემებზე“.

სპორტის ამგეგი

☆

საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში

ხარკოვი, 27 ივნისი. აქ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში ევროპიის ნაკრებ გუნდსა და ხარკოვის „ავანგარდის“ ფეხბურთელთა კოლექტივს შორის. საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 3:3.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

დედაქალაქის 2 გუნდის ცდასაცა და „ლოკომოტივის“ მატჩი ფეხბურთში, რომელიც 26 ივნისს გაიმართა ზოსკოვში, დამთავრდა ანგარიშით 2:1.

ბაქოსა და თბილისის წყალბურთელთა შეხვედრა

გუშინ თბილისის საზაფხულო საცურავ აუზში გაიმართა საქალაქთაშორისო შეჯიბრება წყალბურთში. თამაშობდნენ კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილისა (ბაქო) და თბილისის „დინამოს“ გუნდები.

პირველი ტაიმი აღინიშნა ორმხრივი შეტევით და დამთავრდა 1:1. შეჯიბრების მეორე ნახევარში მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს. მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2.

30 ივნისს გაიმართება აზერბაიჯანისა და საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და გალეტის თეატრი

პრემიერა

პარასკევს, 29 ივნისს
საღამოს 8 ს.

კვირას, 1 ივლისს
დღის 12 ს.

ა. ბუკია

დაუპატიჟებელი სტუმრები

ოპერა 3 მოქმედებად

ლიბრეტო ლ. ესაკიასი (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე) და დ. გაჩეჩილაძისა, დადგმა ვ. ჭაბუკიანისა (სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი), დირიჟორი დ. მირცხულავა (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი), მხატვარი ი. ასკურავა (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე).

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

საზაფხულო თეატრი

(პლეხანოვის პროსპ. № 123)

1, 2, 3, 4 ივლისს

მოსკოვის სახელმწიფო ესტრადის პაროდიისა და ხუმრობის ანსამბლი „ლურჯი ფრინველი“

ახალი სატირული მიმოხილვა 2 განყოფილებად

„მისი უბის წიგნაკი“

სცენარი და დადგმა
ვიქტორ დრაგუნსკისა

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ბილეთები იყიდება.

3. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი იღებს სტუდენტებს სამშენებლო, ხიდებისა და გვირაბების, ფუქანიკური, საავტომობილო და ელექტროტრანსპორტის ფაკულტეტების დღისა და საღამოს განყოფილებების პირველ კურსზე შემდეგ სპეციალობებზე:

1. რკინიგზის მშენებლობა (დღისა და საღამოს განყოფილება);
2. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (დღის განყოფილება);
3. ხიდები და გვირაბები (დღის განყოფილება);
4. რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაკი შემადგენლობა და წევის მეურნეობა (დღისა და საღამოს განყოფილება);
5. სამშენებლო და საგზაო მანქანები და მოწყობილობა (დღის განყოფილება);
6. რკინიგზის ექსპლოატაცია (დღის განყოფილება);
7. რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცია (დღის განყოფილება).

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია (გარდა სამშენებლო სპეციალობაზე შემსვლელებისა), უცხო ენა — ზეპირი, რუსული ენა და ლიტერატურა — წერა.

სამშენებლო სპეციალობაზე შემსვლელნი (რკინიგზის მშენებლობა, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, ხიდები და გვირაბები) ქიმიის ნაცვლად აბარებენ გამოცდას ხატვასა და ხაზვაში.

ქართულ სექტორზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) და თავისუფალი არიან გამოცდისაგან უცხო ენაში.

საშუალო სკოლის დამთავრების დროს ოქროს medlით დაჯილდოებულნი სამშენებლო სპეციალობაზე შესვლისას აბარებენ გამოცდას ხატვასა და ხაზვაში, ხოლო დანარჩენ სპეციალობებზე მიიღებიან უგამოცდოდ.

საშუალო სკოლის დამთავრებისას ვერცხლის medlით დაჯილდოებულნი, აგრეთვე ის პირები, რომლებმაც საშუალო სპეციალური სასწავლებელი დაამთავრეს წარჩინებით, შეტანილი არიან გამოშვების 5 პროცენტში და თავიანთი სპეციალობის მიხედვით შემოდიან სკოლის დამთავრებიდან ორი წლის განმავლობაში, სკოლის დამთავრების წლის ჩათვლით, აბარებენ გამოცდას მათემატიკაში (ზეპირი და წერა), ხოლო სამშენებლო სპეციალობაზე შემსვლელნი გარდა ამისა აბარებენ გამოცდას ხატვასა და ხაზვაში.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. ინსტიტუტის უფროსის სახელზე შემოტანილ განცხადებას უნდა დაერთოს:

1. სიმწიფის ატესტატი საშუალო სასწავლებლის დამთავრების შესახებ (დედანი), 2. სამი ფოტოსურათი, ზომით 3×4 სმ. (უმუდოდ), 3. ავტობიოგრაფია. 4. პასპორტი და სამხედრო ბილეთი (წარმოადგენენ პირადად), 5. ცნობა მუშაობის ადგილიდან თანამდებობის, მუშაობის სტაჟისა და სპეციალობის ჩვენებით (მომუშავეთათვის ან საღამოს განყოფილებაზე შემსვლელთათვის), 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

მისაღები გამოცდები იწარმოებს:

ა) მედალოსნებისათვის და იმათთვის, ვინც ტექნიკუმი წარჩინებით დამთავრა, 15-დან 25 ივლისამდე;

ბ) საღამოს განყოფილებაზე შემსვლელთათვის — 25 ივლისიდან 14 აგვისტომდე.

გ) ყველა დანარჩენთათვის — 1-დან 20 აგვისტომდე.

ინსტიტუტის მისამართი: ქალ. თბილისი, ლენინის ქუჩა, № 98, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი.

დღეს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — გლახის ნაამბობი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ნანა, **მუსიკალური კომედიის** — ახალი სიმღერა, **ფილარმონიის საზაფხულო თეატრი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (გ. გაბესკირიას ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **სპარტაკი, თბილისი, ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო და საზაფხულო), **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — პოლიციელები და ქურდები, **ფილარმონიის ბაღი, კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო და საზაფხულო). **კომუნარების ბაღი** — სიყვარულის სინათლე, **კოლხიდა** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — მკვლელობა დანტეს ქუჩაზე. **კოლხიდა** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზამთრო)—ქალიშვილი და მუხა, **კოლმეურნე, პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — დაღუპული ცხოვრება, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — მოჯირითე ქალიშვილი, **დიდუბე** (საზაფხულო)— ირენა, სახლში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი აცხადებს მიღებას 1956-57 სასწავლო წლისათვის სასწავლებელთან არსებულ დაუსწრებელ განყოფილებაზე.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილება ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს ფერშლის სპეციალობით სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ. დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ განათლება არანაკლებ არასრული საშუალო სკოლისა, მუშაობენ სამედიცინო დის, ფერშლის ან მეანის თანამდებობაზე და აქვთ მუშაობ